

კაპკასია

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14^e)

№ 4

სექტემბერი 1937

№ 4

უიწაარსი :

ჰაიდარ ბამმატ — უკანასკნელ კვირებში.
 გრიგოლ დიასამიძე — ერის ზეწამოდგომისათვის.
 ვლადიმერ ახმეტელი — გარეშე ძალის იმედები.
 გენ. გ. კვინიტაძე — სული და ტეხნიკა

შალვა ამირეჯიბი — ცაგურია — ჟორდანიას კაცი.
 ზურაბ ავალიშვილი — თეიმურაზ პირველი და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა. (გაგრძლება).
 იოსებ გვარამაძე — წარსულის გაკვეთილები. ემიგრაციაში.

უკანასკნელ კვირებში

უკანასკნელ კვირათა მთავარი ამბავი, თქმა არ უნდა, იყო დამოკიდებულებათა ის მსვლელობა, რომელიც იაპონიასა და ჩინეთის შორის შორეულ აღმოსავლეთში აღინიშნა. იძულებული ვხდები მივმართოთ რთულ ნართაულ ლაპარაკს და სიტყვა „ომი“ არ ვიხმაროთ, რადგან ომის ფორმულად გამოცხადებამდის, დღემდის, მართლა საქმე არ მისულა. არც ყვითელი რასის ორი მთავარი სახელმწიფოს ურთიერთობა წაავაგს ომის ცნებას, თუნდა ომის გამოცხადება მახლობელ დღეებში საჭიროც შეიქმნეს, მიუხედავად საერთო მობილიზაციების გამოცხადებისა, დიდძალი ჯარების გადაზიდვისა და

ათასობით მოკლულის და დაჭრილებისა. საქმე ის არის, რომ მიზნები, რომელსაც იაპონია აზიის კონტინენტზედ ანხორციელებს მრავალმხრივ შეეფერება თვით ჩინეთის მოსახლეობის ინტერესებს და, ყოველ შემთხვევაში, უპასუხებენ ორ კულტურითა და ჩამომავლობით მონათესავე ხალხის ფართეთ გაგებულ რასობრივ ნაციონალიზმს. არავითარი ეჭვი არ უნდა არსებობდეს, რომ შეგნებულად მოაზროვნე ჩინელების შორის, ბევრია იაპონიასთან პოლიტიკური მორიგების სრულიად გულწრფელი მომხრე, თუნდა ეს შეთანხმება თავის განვითარების აუცილებელ მომავალში იაპონიის ზემდეგობით მოხდეს. ჩინეთი დაქუცმაცებულია; ჩინეთი განიც-



დის ურთიერთ მოქიშპე ავანტურისტების ძალადობას, რომელსაც თავი ვერ აართვა, თვით ისეთმა აუცილებლად დიდმა ადამიანმა, როგორც მარშალი ჩან-კაი-შეკია; ჩინეთი ფართედ არის ღია მისდამი მტრულად განწყობილი უცხოეთის საექსპლოატაციოთ; ჩინეთი დაბალი ხალხი უპატრონოდ გამოიყურება ცრუ დემაგოგის და ცხოვრების წილის დამანგრეველ კომუნისტურ პროპაგანდის წინაშე.

ის ნახევრად ანარქიული მდგომარეობა, რომელიც ვერასოდეს სახელმწიფოებრივად ვერ გახდება, ავტორიტეტობას მოკლებულ ნანკინის მთავრობის ყველა ცდების მიუხედავად, არა მარტო დიდსა და მდიდარ რესურსების ქვეყანას, ხელში უგდებს უცხო სახელმწიფოების კოლონიალურ ექსპლოატაციას, არამედ, უპირველესად ყოვლისა, განივრად უღებს კარებს, მოსკოვის წითელ იმპერიალიზმის იმ მომაკვდინებელ ჭირს, როელიც უხელისუფლო ქვეყანას, თავის კლანჭებში იჭერს, და იმ საერთაშორისო კომუნიზმის მსხვერპლად ხდის, რომლის საშუალებით, ჩვეულებრივ, მოსკოვი მიზანში ამოღებულ ქვეყნებს ეპატრონება.

ამ თავნება, შფოთი და მავნებელი მეზობლის წყნარ ოკეანეს ნაპირებიდან გამოდევნა — აი მთავარი ამოცანა, რომელიც დგას და შემდეგშიაც იდგება ჩინეთის წინაშე, როგორც მისი ეროვნული აღორძინების პირველი ეტაპი, აზიის სხვა სახელმწიფოთა მზგავსად.

ამას უნდა მოჰყვეს სხვა სახელმწიფოთა ზედმეტ და დამამცირებელ მზრუნველობისაგან თავის ხსნაც.

მაგრამ შესწევს თუ არა ჩინეთს, დღევანდელ მის მდგომარეობაში, ასეთი ამოცანის განხორციელება?

სამწუხაროდ, ჩინეთს, დიდი ხანია, არავინ დაერიდებოდა, ის რომ თავის ალალ ბედზედ იყოს მიგდებული.

აი საიდან მოაქვს თავისი დასაწყისი იმ

გარემოებას, რომ იაპონია, მაშინაც კი, როცა უპირველესად ყოვლისა, თავის პირად სახელმწიფო მისწრაფებას ემსახურება, მაინც ჩინეთისათვის შესაძლებელი მოკავშირე და პატრონია, რომელთანაც, შესაძლებელია, კიდევაც იხუბოს ხანდახან, მაგრამ რომელსაც მხოლოდ ერთ შეუძლიან, თუნდა ეს ჩინეთს ძვირადაც დეუჯდეს, მომავალში მას მკვიდრი ზავი და მის ხალხს შედარებითი სიკეთე მიუტანოს.

ამიტომ გასაოცარი არაფერია, რომ ჩინეთში ცოტა არ არის სახელმწიფო კაცი, რომელთაც ნამდვილად სურთ, თუნდა დიდი დათმობის სახითაც, იაპონიასთან მორიგდნენ და თვით პოლიტიკის ხელმძღვანელი მარშალი ჩან-კაი-შეკი, სამხედრო წინააღმდეგობის გაწევასთან ერთად, იაპონელებთან მოლაპარაკებას არა სპობს და ხვალ რომ ომი ფორმალურადაც გამოცხადდეს, ეს ომი მაინც ორი მონათესავე ერის შორის მჭიდრო სამხედრო კავშირით უნდა გათავდეს, როგორც ეს თავის დროზედ გერმანიასა და ავსტრიას შორის მოხდა და ბისმარკმა შესძლო, რომ გუშინდელი მტერი ერთგულ და მუყაით მოკავშირეთ ექცია.

სწორად და ნათლად, სავსებით ბისმარკულათ დაახასიათა თავისი მიზნები ჩინეთში იაპონიის პრემიერმა თავადმა კანოემ თავის საუბარში პრესის წარმომადგენლებთან; უპირველესად ყოვლისა მან განაცხადა, რომ ამ კონფლიქტის გადაჭრა იაპონიას თავისით სურს და სახელმწიფოთა ჩარევას არას გზით არ დაუშვებს. შემდეგ მან დაადასტურა, რომ იაპონიასა და ნანკინის ჩან-კაი-შეკის მთავრობის თანამშრომლობას ის ეხლაც შესაძლებლად სთვლის (მიუხედავად ამ ამბების, შანხაიში ომის და ნანკინზედ ზარბაზნების დაშენისა). ჩინეთის წინააღმდეგობა, მისის აზრით, მხოლოდ აგვიანებს ამ აუცილებელ შეთანხმებას. მაგრამ ყვლაზედ საყურადღებო და შესანიშნავი თავად კანოეს სიტყვაში შემდეგია: იაპონია - ჩინეთის თანამშრომლობა შესაძლებელია

ჩრდილო - ჩინეთში ზავისა და წესრიგის დაცვის ნიადაგზედ, სადაც მოსპობილ უნდა იქმნენ ყველა ანტი - იაპონური, ანტი - გერმანული და კომუნისტური ელემენტები და ჩრდილო-ჩინეთის მართვა - გამგეობაში იაპონიის მონაწილეობა აუცილებელიაო.

აქ, ამ უკანასკნელ სტრიქონებში, უკვე მოცემულია ის გადაჭრილი პირობანი, რომლის ნიადაგზედ შეთანხმება ეხლავეა შესაძლებელი.

×

კომუნისტურ ელემენტებში, სხვა სიტყვით, მოსკოვის მთელი აგენტურა უნდა ვიგულისხმოთ. აი ყვითელი რასის მთავარი მტერი შორეულ აღმოსავლეთში, რომლის გამოძევება პირველ რიგშივე უნდა მოხდეს და რაკი ამაში იაპონიას ჩინეთის მატერიალური და მორალური ძალების იმედი არა აქვს, ამის გაკეთებას თითონ კისრულობს, ჩინეთთან ნებით თუ უნებური შეთანხმებით. რა თქმა უნდა, ასეთი რამ ჩინეთის საპატრონოდ აყვანას ნიშნავს, მაგრამ შინაური ვითარება ჩინეთისა ისეთია, რომ უპატრონოდ თავის თავს ვერ მოუვლის.

იაპონიის პრემიერის სიტყვაში ფრიად არსებითი და განსაკუთრებით მრავალ - მნიშვნელოვანია ანტი - იაპონური და ანტი - გერმანული ელემენტების შეჯერება, რაიცა ნახსენებია ერთად, როგორც იაპონიისათვის ერთნაირად მტრული ელემენტები. თუ ამასთანავე გავიხსენებთ ამ მოკლე ხანში სიცილიაში მომხდარ ადლუმის შემდეგ მუსოლინის მიერ პალერმოში წარმოთქმულ სიტყვას, რომელშიაც მან ბერლინ - რომის ღერძის უდრეკელობა მედგარი სიტყვით დაადასტურა, იაპონიის პრემიერის სიტყვას ენიჭება დიდი ფაქტორის მნიშვნელობა, რომელიც მთელი მსოფლიოსთვის ნათქვამი გამოდის. მუსოლინიმ საკმაო დასაჯერად განაცხადა, რომ შეუძლებელია რომთან ლაპარაკი თვინიერ ბერლინისა და შეუძლებელია ერთის წინააღმდეგ ისე წახვიდე, რომ მეორესაც არ შეეხო. პა-

ლერმოში ნათქვამი ეს სიტყვა ტოკიოელ პრემიერის ლაპარაკშიაც დროულ ეხოსავით გამოკრთა, რაც სამთა სოლიდარობასა ჰქმნის, რომელსაც უკვე მსოფლიო-განი ენიჭება.

აი ამითია ნაკარნახევი ინგლისის და ამერიკის სიფრთხილე ჩინეთის ამბებში, მათი რიდი საქმის გართულების წინაშე, რომ მათი რაიმე საქციელი საქმეში ჩარევად არ იქმნეს მიჩნეული. ამისი შედეგი მეტად რთული და არა სასურველი იქნებოდა, მეტადრე მაშინ, როდესაც ყოველი ღონისძიება იქით არის მიმართული, რომ სავსებით სხვა ატმოსფერო შეიქმნეს.

ესპანეთის საკითხის სიმწვავემ უკვე შესამჩნევად იკლო: ნევილ ჩემბერლენის მიერ წარმოებულ ინგლისის პოლიტიკას აბისინურ შეცდომების განმეორება აღარა სურს, იგი შეურიგდა ფრანკოს მოსალოდნელ და თუ გნებავთ აუცილებელ გამარჯვებას, იგი ეძებს ატალიასთან შეთანხმების გზას — ხმელთაშუა ზღვაში, ჩრდილოეთით, დასავლეთით და ცენტრალურ ევროპაში — გერმანიასთან, შორეულ აღმოსავლეთში — იაპონიასთან. ხოლო ვინაიდან საფრანგეთთან დამოკიდებულება უკეთესი აღარ შეიძლება და სოლიდარობა უფრო და უფრო მტკიცდება, ინგლისი ამ მოკლე დროის შესაძლებელ მშვიდობიანობას აფასებს, რადგან იგი შეესაბამება როგორც ქვეყნის ნამდვილ გრძნობებს, ისე მის სახელმწიფო ინტერესებს. ომის შემდეგ, ინგლისი უეჭველად ის მაძლარი და კმაყოფილი ქვეყანაა, რომელსაც ახალი შეხლა - შემოხლა არა სურს და რისკს არ ეძებს. ამ „ქაფის მოსახდელად“ იყო შექმნილი თავის დროზედ ერთა ლიგა, რომლის დანიშნულება იყო, რომ ასეთი ყოფის საიმედო ზღუდე ყოფილიყო. ერთა ლიგამ იმედი არ გაამართლა და პირველმავე გამოცდამ საშინელი ლახვრი ჩასცა, — ეხლა ინგლისი კერძო შეთანხმებათა ნიადაგზედ სდგას, იმ იმედით, რომ ასეთი ზომები შედარებით სიმშვიდეს მისცემს და არსებულ



ვითარებას განამტკიცებს. რაინე კონფლიქტში აქტიურად ჩარევა ინგლისისთვის ხელსაყრელი არ არის, ხოლო იქ, სადაც იაპონია - გერმანია - იტალია წარმოადგენენ, ან შეუძლიათ წარმოადგინონ სერიოზული საფრთხე, ასე თუ ისე ძორიგება სჯობია.

X

მაგრამ არსებობს ქვეყანა, რომელსაც მთელი ეს მეთაური ანგლისური ფსიხოლოგია, მთელი ეს ასეთი ატმოსფეროს მაგრილობელი პოლიტიკა ხელს არ აძლევს. თუ ესპანურ კონფლიქტში საბჭოთა მოსკოვი მხოლოდ ირიბულად იყო დაინტერესებული, როგორც მხოლოდ შესაძლო საბაზით, რომ სხვები წაეკიდა ერთმანეთზედ, იაპონიის გეგმების განხორციელება შორეულ აღმოსავლეთში — პირდაპირ რუსეთის თუ საბჭოთა კავშირის — ამ შემთხვევაში ეს ერთი და იგივეა — საარსებო და ძარბოვად საიმპერიო ინტერესებს ეხება. აქ რომ მან გადაჭრილი პროტესტი არ განაცხადოს, აქ რომ მან კატეგორიული „ნონ პოსსუმუს“ — „ამას ვერ მოვითმენთ“ — არა სთქვას, მან რომ ძველებურად - მისებურად, ჩვეულებრივი ომი არ გამოაცხადოს — ეს იქნებოდა საკუთარ უძღურებაში გამოტეხა, საკუთარი თავისთვის საკუთარის ხელით მოწერილი სიღარიბის მოწმობის მიცემა. მოსკოვმა რომ ჩინეთში ეხლა არსებულ ვითარებით არ ისარგებლოს და ამ ამბების მხოლოდ დაღრეჯილი მაცქერალი დარჩეს, როგორც სამხედრო სახელმწიფო სამუდამოდ დაიმარხავს თავს ყველას თვალში და ვერავითარი პოლიალური ექსპედიციები, ვერავითარი პოლუსზედ გადახტომა ვეღარ ასწევს მის დაკარგულ პრესტიჟს. რა თქმა უნდა, ყველას ესმის, რომ ერთხელ გადმოსული მატერიკზედ და ყველა საჭირო სტრატეგიულ პოზიციებს ჩაბარებული იაპონია სულ მალე გადარეკავს რუსეთს წყნარი ოკეანეს ნაპირებიდან და ბ. ბ. ჯუღაშვილს, ვალლახს და რუსეთის ეროვნულ - სახელმწიფოებრივ პოლიტიკის სხვა

ხელმძღვანელებს ეს სხვაზედ ნაკლებ არ ესმით. იქნება ასეთი პოლიტიკა მაინცა და მაინც მათთვის ახლო არ იყოს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, რუსეთის დიდ - მბრძანებლობას, თუნდა მსოფლიო სოციალური რევოლუციის მიზნით, ისინი ფიცხად იცავდნენ.

რაკი ისინი სდუმან, არ მოძრაობენ და ეხლაც არ ამოძრავდებიან — ეს იმას ნიშნავს, რომ რეჟიმის აგონია და ქვეყნის მარაზმი, ქეშმარიტად, ნამდვილი ამბავია.

X

წითელი მოსკოვი თავისი კომუნისტური პროპაგანდით, რომელსაც ერთი მხრით გარწნილების და ანარქიის ელემენტები მოსდევს, მეორე მხრით რუსული „ველიკოდერჟავული“ ზრახვანი (არა მარტო მთელი მსოფლიოსი, არამედ საკუთარი ხალხის საზიანოდ) უფრო დიდ და დარაზმულ წინააღმდეგობას იწვევს. იმავე პალერმომში ნათქვამ სიტყვაში, იტალიის დიქტატორმა, რომელსაც თავისი სიტყვები საქარეზედ არ გააქვს, მედგრად განაცხადა, რომ ვერ მოითმენს ბოლშევიზმის დამკვიდრებას ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზედ. ესპანიის ამბები, ბოლო დროს, ამკარად გენ. ფრანკოს სასარგებლოდ ვითარდებიან, ხოლო სანტანდერის აღების შემდეგ, რომელიც ჩრდილოეთში მის მოწინააღმდეგეთა უკანასკნელი სიმაგრე იყო, თავისუფალ ჯარებს მადრიდს მიაყრიან და სავსებით სარწმუნოა, რომ ესპანეთის სამოქალაქო ომი ნაციონლისტების სრული გამარჯვებით დამთავრდება.

უკანასკნელ დროს ინგლისს ეს ფრიად კარგად ესმოდა და ამის მიხედვით თავის პოლიტიკასაცა სცვლის. პორტუგალიის პოლიტიკა, რომელიც აქტიურად თანაუგრძნობს გენერალ ფრანკოს, საყოველთაოდ ცნობილია. ბოლშევიზმს მართლა არა აქვს ადგილი ხმელთაშუა ზღვაში. ადრე იქნება თუ გვიან, ეს უნდა იცნონ სხვა დაინტერესებულ მთავრო-

ბებმაც და თავისი პოლიტიკა შესაფერისად გადასინჯონ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეგრედ წოდებული კომუნიზმი, მოსკოვის მიერ ხელგამართული, იდეენება და ირეკება საზოგადოებრივი ცხოვრებიდან არა მარტო სახელმწიფოებრივ დიქტატურის ქვეყნებიდან, არამედ უკვე ზოგი დემოკრატიიდანაც, თანაც ნამდვილ და მართლმორწმუნეებიდან. ჩრდილოეთში ასე-

თია ფინლანდია, ევროპის შუა გულში — შვეიცარია, სადაც, ამას წინად, ფედერალურმა საბჭომ კანონი მიიღო, რომლის ძალით დაშლილი უნდა იქნას ყველა კომუნისტური ორგანიზაცია. კმარა გამხრწნელი და მომაკვდინებელი მოსკოვის ზედმოქმედება, კმარა მოსკოვური ყალთაბანდობა.

ჰაილარ ბამმატ

ე რ ი ს ზ ე წ ა მ ო ღ ბ ო მ ი ს ა თ ვ ი ს


„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაიციემის“ — ბრძანა მგოსანმა — ყრმამ, რომლის სიკვდილს უღვთო უწოდა მეორე დიდმა მწერალმა. ერთხელ ნაგეში თავისუფლება მუდამ სანუკვარია და სანატრელი! უამისოდ ამოსუნთქვა არ შეუძლია არც საღ მამულიშვილს, არც სიცოცხლით სავსე ერს... ჩვენი ხალხის უსაზღვრო ტრფიალი თავისუფლებისადმი ხშირად შებლაღულა გარეშე მტრების მიერ. სიცოცხლე ისე გაგვძწარებია, რომ გამოგვიძებნია ერთმორწმუნე მეზობელი, შევკვირვართ პირობით, ნდობით და რწმენით აღვჭურვილვართ მისი დახმარებით შვება-აღორძინების მოსაპოვებლად. პირობა არ გაგვიტეხია. „კრწანისის ველის“ — ამ მესამე დიდი მგოსნის „საგულისხმო გასაგონის და სისხლით მორწყულ გმირთა კალოს“ ასი წლისათვის უმაღლესად აღკრძალულმა დღესასწაულმა ყველასათვის ცხად ჰყო, თუ ვინ გასტეხა სიტყვა, უღალატა ფიცს... განვლო დრომ, მიწიერისათვის დიდმა, ერისათვის წამიერმა, სიტყვის გამტეხმა იგემა უზენაესი განაჩენი. ამოისუნთქვა თავისუფლად და ჩაგრულმა, მაგრამ ვაი, რომ დიდხანს არ დასცალდა! ხალხთა უღმობელ და უნახავ ჟღერის შემდეგ გაჩენილმა დაავადებულ სულის სენმა ისიც არ დაინდო. მოზღვავებულმა მო-

არულმა შეიპყრო! მას აქეთ დიდი თუ პატარა, გარეშე თუ შინაური მთელს მსოფლიოში თავს იმტვრევს, ჰფიქრობს, ცდილობს როგორმე უხერხოს, წამალი რამ დასდოს. ბრძოლაში ერი მარტო არ არის... ამ სენმა ვით ანდაზის აქლემმა ყველა ხალხის წინაშე დაიჩოქა... ჩვენი მხრით კიდევ პატარა თმენაა საჭირო, თავისგამაგრება, შინაურობაში უაზრო და მავნებელ დავიდარაბის გაქარწყლება. ყველაფერი ერთი მიზნისაკენ!. მიზანსა და დამძიზვნელის შორის არ უნდა იყოს არაფერი, ზედმეტად ატეხილი!. ვინც ამ მანძილის ნისლში გახვევას მოიწადინებს პირადული თუ ჯგუფობრივი განზრახვით — მოღალატეა უექველი, ვინც უნდა იყვეს და სადაც არ უნდა იმყოფებოდეს. ბრძოლა გვჭირდება საარაკო და მრისხანე... ასპარეზი მარტო მხარ-მკლავის სიმარდის გამოჩენას არ მოითხოვს — ეს იქნებ კიდევ არ დაგვჭირდეს!.. ეს სიმამაცე უკვე ნახულია წარსულში და ნაქები აწნეოში... ახლა საჭიროა სხვაგვარი სიმამაცე! სიმამაცე ცხოველმყოფელ აზრთა გამოჩენისა, ხსნი მომტან ხერხთა გამოძებნისა. ყველა უნდა ჰფიქრობდეს განუწყვეტლივ! ყველა უნდა ეძებდეს გამოსავალს!.. პატივისცემა და ყურადღება ყველა პატიოსან წრფელ მძებნელს და მომფიქრებელს! ყოველი ასეთი პირობე-



ბა, ყოველი ასეთი გვაში ჰსაჭიროებს თანაგრ-
 ძნობას, წაქეზებას, ხელის შეწყობას, არა თუ
 დევნას და ხელის შეშლას.—აზრთა, ფიქრთა
 დაპირისპირება, შებრძოლება, ჭიდილი დიდი,
 მიმზიდველი და ძნელი სარბიელია... გალი-
 ლეს გამბედავობა სჭირდება კაცს ახლანდელ
 დროშიაც, რომ მიგნებული უებარი წამალი
 მოანდომოს ქვეყნის ტკივილს. ძველად აწა-
 მებდნენ, კოცონს უმზადებდნენ გამბედავს,
 ახალი ფიქრის გამომთქმელს. დღეს, როცა
 მსოფლიო ამაყობს წარმატებით, დღეს მაინც
 მეტი მოთმინებით, მეტი შეგუებით უნდა ვუ-
 სმენდეთ ასეთ თანამოძმეს. სამშობლოს სი-
 ყვარული და მისადმი სამსახური — უზენაესი
 მოვალეობაა ყველასათვის. ვინც მშრომელ ერს
 ეკუთვნის, რა წრისა, რა მიმართულებისაც
 უნდა იყოს იგი. ვერავინ დაიჩემებს — მე
 მხოლოდ ან ჩვენ მარტო გვიყვარს ჩვენი ქვე-
 ყანაო! სალი უმრავლესობის აზრი — ყოვე-
 ლად ძლიერი ძალაა, ყოველ დაბრკოლებათა
 მძლევი და ბედნიერების დამსახავი. საზოგა-
 დოებრივი აზრი ჩნდება არა ერთს რომელ-
 სამე ჯგუფში, არა ერთს რომელსამე მიმარ-
 თულებაში, უკეთუ თუ ესენი არ სცილდე-
 ბიან სინილისა და ნამუსს. ქეშმარიტი საზო-
 გადოებრივი აზრი არც ერთმხრივია, არც
 ცალმხრივი! ის საყოველთაოა! ყველა ეს სა-
 გულისხმოა მეტადრე სამშობლოს ხსნის საქ-
 მეში, რაც ამხანად ჩვენს უმთავრესს ყურა-
 დლებას იზიდავს. ვინც სამართლიანად, ვინც
 მაღალზნობრივად ჰინდოელ სულისმესაიდუ-
 მლესავით წმინდათ ჰმეთაურობს ქვეყანას,
 საზოგადოებრივი აზრის შექმნას და განმტკი-
 ცებას, საბოლოოდ ის იმარჯვებს და იპყრობს
 ასპარეზს. დროებითი დევნა, წამიერი წამება
 არაფერია მისთვის: ის ემსახურება და ემსხვერ-
 პლება მარადიულს. სმენა და თმენა მოპირდა-
 პირის, მოწინააღმდეგის უმაღლესი კულტურუ-
 ლი მიღწევაა! ის ასხვავებს განათლებულს
 ბარბაროსისაგან! აი რით უნდა ვამაყობდეთ!...
 ოჯახი დაგვენგრა, საზოგადოებრივი დაწესე-

ბულებანი მოისპენ ან სულს ძლივს ლაფავენ.
 სად უნდა ვლებულობდეთ აღზრდას, წრთვნას?
 როგორ უნდა ვეჩვეოდეთ ზნეობის განმტკი-
 ცებას, სიყალბის დანახვას! ყველა ამაზე დღე
 მუდამ საჭიროა ფიქრი, ქეშმარიტების დამ-
 შვიდებული გზით ძიება! ერთხელაც უნდა
 ვიხილოთ საღად, აუკვიატებლად მომფიქრა-
 ლი დარბაისრულად, წინდახედულად და შორს
 მჭკრეტელად მომქმედი პიროვნება... მოწინა-
 აღმდეგეს აზრის და ქცევის მავნებლობა უნდა
 იყოს დამტკიცებული მიუდგომლად და მიუ-
 კერძველად, რომ საყოველთაოდ მისაღები გა-
 ხდეს. თორემ ჩვენც გავხდებით სასაფლაო
 მყუდროების შემქნელნი, რასაც სხვაგან
 ვძრახავთ. მხოლოდ ამნაირად შევიქნებით
 ღირსნი იმ ძვლების ხსენებისა, რომელთა და-
 გვიტოვებს დიდებული სამკვიდრებელი. ამ დი-
 დებულების წარმოსადგენად გადავშალოთ
 თუნდ სამშობლოს გარედ გამოსული ისტორი-
 ული წიგნის კაბადონები: თავისიანთა და უც-
 ხოთა მიერ აღსარებული ნიჭიერი მეცნიერი
 უცხოეთში მონახულ წყაროთა შესწავლის შე-
 მდეგ მოგვითხრობს, თუ როგორ ესმოდათ მე-
 თერთმეტე—მეთორმეტე საუკუნეში შარავენ-
 დედით მოსილ ჩვენს საამაყო წინაპრებს ნე-
 ტარ დავით აღმაშენებელს და დიდ თამარს—
 ქართველი ერის დანიშნულება. მათ შეხედუ-
 ლებას და რწმენას დრო არ შეჰხვებია!.. მათი
 აზროვნება, მათი გზა, მათი საშუალება ისევ
 ისე მიმზიდველი და გამოსაყენებელია ჩვენ-
 თვის... მაშინდელ ქართველთა სახელმწიფოს
 სიდიადე ჩვენი გამოგონილი არ არის: აღსარე-
 ბულია უცხოელ თანამედროვეთაგანაც. დიახ
 სახარბიელოა, როცა შინაობაში შექმნილი
 საზოგადო აზრი მისაღებია გარეშეთათვის და
 ამათ მიერ შეწყნარებული. ამიტომ სრულე-
 ბით საშიში არ არის, როცა მსჯელობა იმარ-
 თება ერის ცხოველმყოფელ საგნებზე, არა
 მარტო მშობლიურ ენაზე, არამედ უცხო ენე-
 ბზედაც. უაღრესად საჭიროა თანაგრძნობის
 მოპოება და მრავალ თანამოაზრეთა გაჩენა



განათლებულ ერებში. საღ, მაღალზნობრივ სამართლიან აზრს არ ეშინია უცხო ენის და გარედ გამოტანის. პირიქით ამ გზით ეროვნული საქმე უფრო მტკიცდება; ყოველივე კერძობა, წვრილმანობა ჰქრება და ცისკროვნდება ბედნიერ მერმისისაკენ მიმავალი გზა. ნაკლები ბრძოლა საშინაოში! მეტი ყურადღება უცხოთა საქმიანობისადმი! მაგრამ აქაც სამართლიანობაა დასაცველი, ურთიერთობის ხეირიანი ახსნა-განმარტება, მოაზრებული მოქმედება. მეტადრე საკუთარ საქმეს ვერ გადავწყვეტთ, სამეზობლო კითხვების აბუჩად აგდებით, მიჩქმალვით და გადაუწყვეტელობით. ამის წამალს, ბევრს და საგანგებოს, სწორედ იმ შესანიშნავ წიგნში მოსძებნის ჩვენი ბედკრული ცხოვრების დაკვირვებული მეთვალყურე. როცა ყველაფერი გამორკვეული და მოწესრიგებული გვექნება სამეზობლოში, უფრო თამამად და მედგრად გავალთ საგარეო სფეროში... სხვებთან ერთად მოვითხოვთ ერის, ხალხის დამონების გადაგდებას როგორც უარყოფილია და აღკრძალული ადამიანის მონათ გახდომა განათლებულ ქვეყნიერობაში. წარმატება კაცობრიობისა შეუძლებელია ჩაგრულ ერთა არსებობის დროს!.. მშვიდობიანობის საყოველთაოდ ჩამოგდებას დაჩაგრულ

ერთა განთავისუფლება უნდა უსწრებდეს! აი რა მხიბლავი გამზირი გვეშლება თანამედროვეთ. ამ სანეტარო დროს მოსაახლოვებლად ღირს ვიცოცხლოთ და ვიმუშაოთ! საკეთებელი ბევრია, ყველას გვეყოფა. უცხოეთის ბუნდოვან ცის ტატნობზე აქა-იქ გამოჩნდნენ მრავალ მეტყველი ცისიერნი. სამარცხვინოა გულზე ხელის დაკრეფა, მცონარეობა და სისუსტე!.. ნუ დავივიწყებთ: როცა სამშობლოს ქირი ადგია, გარედ ყოფნა დანაშაულია!.. გარედყოფნას გამართლება ესაჭიროება ხალხის თვალში!.. მაშ, სწორე ფიქრი და ღირსეული ქცევა!.. აი ჩვენი კატეგორიული ვალდებულება!

საწადელსაც მივალწევთ, თუ სწორე გზას არ გადვცდით. მართალია, დღეს ჩვენს გულში და გარშემო მწუხრია გამეფებული, მაგრამ მივმართოთ ჩვენს მთაწმინდას — ჩვენს საქართველოს — იმავე ყრმის-მგოსნის წინასწარმეტყველის დიადი სიტყვით:

„მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს, რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის განანათლებს!“

გრიგოლ დიასამიძე.

გ ა რ ე უ ე ძ ა ლ ი ს ი მ ე ლ ე ბ ი

ძველათვე თქმულება იყო რუსეთზე: გველეშაპს თავი პეტერბურგში უძევს, ხელები კი ევროპის სახელმწიფოების კაბინეტებში და იქ აფათურებს ქვეყნის ასარევად, კაცობრიობის დასაქცევადო. კარგა ხანია მას მსოფლიოს ასამტუტებელი მკლავები დაუგრძელდა, ევროპა აღარ ჰყოფნიდა და აღარა ჰყოფნის ასაფორიაქებლად და თავისი ბინძური თათები აზიისაკენ და თვით შორეულ ამერიკი-

საკენაც გაიშვირა. ოდესღაც სახელ განთქმული აზია, — ეს აკვანი კაცობრიობის ძველი კულტურისა, — უნდა სათარეშოდ გაიხადოს, მოსკოვის საზოგადოებრივი ურთიერთობა ძალით თავს მოახვიოს და ამ გზით უზარმაზარი ქვეყნების ბატონ - პატრონი გახდეს.

მართალია, რუსეთმა, ქვეყნის თვალების ასახვევად გარეგანი ფორმა, გარეგანი სამო-



სელი გამოიცვალა, მაგრამ, გველისა არ იყოს, გული მაინც ძველი დარჩა. ერთხელ და ერთხელ შემუშავებულ, ქვეყნებზე ბატონობის იდეას, ერთხელ და ერთხელ აღებულ გეზს არ ეშვება და თეთრი თუ წითელი რუსეთი მედგრად მიიწევს დანიშნულ მიზნისაკენ. შეიძლება რუსეთში ყველაფერი იცვლებოდეს, მაგრამ უცვლელი რჩება მისი ისტორიულად შემუშავებული მისწრაფება.

კარგა ხანია, რაც ანგლო - გერმანიული სახელმწიფოების აქტიურ შემოქმედების უნარიანობამ, — დროთა მსვლელობის გამო, — მსოფლიო პოლიტიკურ არეზე, თან გამოიყოლა ბედოვლათ რუსეთის დიდი მოძრაობაც. ეს ორივე ხალხი თავიდანვე სხვა და სხვა გზით, სხვა და სხვა საშუალებით საქმიანობდნენ, სხვა და სხვა მოტივებითა და ფორმებით მოქმედებდნენ. ანგლო - გერმანიული სახელმწიფოების მიერ კოლონიების და უცხო ქვეყნების დაჭერა - დაკავება წარმოებისა და მოქმედების სურვილისაგან გამომდინარეობდა, რუსეთისა კი კონსუმციის, მოხმარებისაგან. რუსეთის ხალხი გაშლილ მინდვრების, „სტეპების“ მცხოვრებელია; ნომადობა, ქოჩად და მთაბარად მავლობა მისი თანდაყოლილი თვისებაა. ინტენსიური მუშაობა, მამულ - დედულის მეტის შრომის დახარჯვით დამუშავება არ ემარჯვებოდა. იმის მაგიერ, რომ თავისი ქვეყნის მდიდარი ბუნება ტექნიკურად გაუმჯობესებული საშუალებით დაემუშავებინა და მეტი შრომის ნაყოფი მოემკო, იგი გამუდმებით ელტვოდა ახალი მამულების, ადგილების შექმნას. რუსეთის მთელი სოფლები ერთ მშვენიერ დღეს იყრებოდნენ, ხელში ჯოხით, მხრებზე ტოპრაკა ჩამოკიდებულები მიდიოდნენ ახალი ადგილების საპოვნელად ასე რომ — რუსეთის სახელმწიფოს ექსპანსიური პოლიტიკა მისივე ექსტენსიური წარმოების ურთიერთობით იყო და არის გამოწვეული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანეთის

კოლონიალური პოლიტიკა აზიაში ერთგვარად უთანასწორდებოდა რუსეთისას. იმდენად, რამდენადაც ინგლისი კანადაში, ავსტრალიაში და სამხრეთ აფრიკაში კოლონიზატორულ და წარმოების უნარს იჩენდა, აზიის მიწა - წყალზე იგი აზიურად იქცეოდა. ინგლისი აზიაში, რუსეთი კი მთელ თავის სამფლობელოში ხალხს ხელიდან ნაშრომ - ნაამაგვეს აცლიდნენ, მილიონებით ხალხს ლუკმა - პურს პირიდან ჰგლეჯდნენ, პირდაპირ ამშევდნენ თავიანთ სახელმწიფოების და რამდენიმე ათასეული ადამიანის გასამდიდრებლად, სახელმწიფოს ძლევა - მოსილების გასალონიერებლად.

თავიდანვე რუსეთი კონტინენტალური — ხმელეთის სახელმწიფო იყო. მართალია, პეტრე დიდიდანვე იწყებარუსეთში საზღვაო გზების, ზღვებზე გასასვლელი ადგილების ხელში ჩაგდება, მიუხედავად ამისა, იგი დღემდე უმთავრესად ხმელეთის სახელმწიფოა. აქვს, მას, რასაკვირველია, ფართო და დიდი მდინარენი შინაური მიმოსვლის გასაცხოველებლად, მაგრამ ეს აუარებელი მდინარეები გახსნილ ზღვებში არ ჩადიან, მსოფლიო მიმოსვლის ზღვებს არ უერთდებიან. რუსეთის ჩრდილოეთ ზღვას რვა - ცხრა თვე სქელი ყინულის სარკე აქვს გადაკრული.

მართალია, შემდეგ მიიღეს წყნარ ოკეანეზე გასავალი, მაგრამ ამ გასავალს მხოლოდ რუსეთის შორეულ კუთხისათვის ჰქონდა მნიშვნელობა. ეგრედ წოდებული ევროპიული ნაწილი — ძირითადი ფუძე რუსეთის სახელმწიფოსი — მინაბარებული იყო ბალტიისა და შავი ზღვის ნავსადგურებს. ერთიც და მეორეც გარეშე სახელმწიფოებს ადვილად შეიძლოთ ჩაეკეტათ. ამის გამო, როგორც ზევით აღვნიშნეთ, რუსეთი დარჩა ხმელეთის უზარმაზარი სახელმწიფო. ამიტომაც მისი მოუსვენარი თვალი იმ თავიდანვე მიპყრობილი იყო სამხრეთ - ჩრდილოეთისაკენ. დიდი სურვილი ჰქონდა გასავალი მოეპოვებინა ინ-

დოეთის ოკეანეზე, გასავალი ჰქონდა ჩრდილო სკანდინავიის ზღვებისაკენ; შავის ზღვიდან გამოსულიყო ხმელთა შუა ზღვაში და მით ხელთ ჰქონოდა კონსტანტინეპოლი.

რუსეთის მიმოსვლის გაფართოების სურვილი არც გაძლა და ვერც გაძლებოდა, ვინაიდან ამ გაუმადლარ სურვილს თან აეკვიატა ეგრედ წოდებული პანსლავური იდეა, მთელი სლავიანურ ხალხთა ერთ ჭერ ქვეშ მოქცევის მიზნით. მიზნად დაისახა სლოვიანთა მოდგმის ერები — ერთ სახელმწიფო ფარგლებში მოეთავსებია და დასავლეთით ცდილობდა დანციგის, პრაგის, ტრიესტის, ადრია და რასაკვირველია, მთელი ბალკანეთის ხელში ჩავდებას. მთელი ეს მიმოსვლის გაფართოების განუწყვეტელი შიმშილი, რასიული თეორია სლოვიანურ ერთა ერთად შედუღების მხოლოდ და მხოლოდ ფარი იყო რუსეთის პოლიტიკური ძლევამოსილების გასაფართოებლად. არც ერთი და არც მეორე არ გამომდინარეობდა რუსეთის შინაგან ნივთიერ ძალთა განვითარების აუცილებლობიდან. ეს ხმელეთის ვემაპი მთელი ხმელეთის ერთ შეექვსედზე წინადაც ველარ ეტევოდა და ახლაც გაშმაგებული აქეთ - იქით იყურება ახალი სამფლობელოების დასაჩემებლად.

მაგრამ ნათქვამია — ერთი დრო ვაზსაც არ შერჩენია და დიდ რუსეთსაც ასე დაემართა. პირველად მის გაზვიადებულ ძლევას - მოსილებას, რამდენიმე ათეული წლის წინად, სასიკვდილო ლახვარი ამომავალი მზის სახელმწიფომ — იაპონიამ — ჩასცა. მანჯურიის ველებზე რუსეთის მხედრობის ძლევამოსილებას გმირობის გვირგვინი მოხადა და მით მთელი რუსეთის სივარდსაზე - სიბეჩავე საქვეყნოდ გამოჰფინა. მსოფლიო ომის დროს ხომ გერმანიის მხედრობამ მტვრად აქცივა რუსეთის მილიონობით ჯარი და თითქმის ვოლგამდის გაინავარდა. რუსეთზე გამარჯვებულმა გერმანიამ რუსეთის უღელ ქვეშ მყოფი სხვა და სხვა ერები ფეხზე დააყენა; შექმნა მრავალი

ეროვნული სახელმწიფო და ერთხელ და სამუდამოდ დაასამარა დიდი რუსეთის მთლიანობისა და განუყოფლობის იდეა. დიდი გოეტე ამბობდა: „პირველად იყო საქმე“-ო. პირველად გერმანელებმა ფაქტად, საქმედ აქციეს რუსეთის დაშლის შესაძლებლობა. ეს საქართველიანი და გენიალური იდეა რუსეთის სახელმწიფოებრივ ფარგლებში მაცხოვრებელ სხვა და სხვა ერების გულში მტკიცედ დაბინავდა და ამას გულიდან ველარავინ ამოგლეჯს. ჩვენ ვამბობთ გენიალური იდეა და უფრო მეტს ვიტყვით: საკაცობრიო იდეალი გერმანელებმა საქმედ აქციეს. ვიდრე რუსეთი არ დაიშლება, რუსეთის სამფლობელოში მოსახლე ერები, რომლების თითქმის 50 პროცენტს შეადგენენ, საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას არ შექმნიან და რუსეთს თავის საკუთარ მიწა - წყალში არ ჩაკეტამენ, მანამდის არც ევროპას, არც აზიას და არც პთელ კაცობრიობას მოსვენება არ ექნება. ევროპის სახელმწიფოების მოქარგული დიპლომატიური ენა, მრავალი სავაჭრო ხელშეკრულება ამაო და უქმი სიტყვებია; თეთრზე შავად დაწერილი ხელშეკრულებანი უბრალო ფარატინა ქალაქის ნაგლეჯია. დიპლომატიების სადოსტაქრო დანა საზღაპრო ჰიდრას ერთს თავს რომ მოსჭრის, მოჭრილ თავზე არი და სამი სხვა ახალი თავი ამოდის. უებარი წამალია: მოჭრილი თავი უნდა ამოიწვას, უნდა დაიდალოს, რომ მოკვეთილ ადგილზე აღარაფერმა გაიზაროს; ასეთი დადაღვა, ამოწვა — მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის დაშლა და მის ნანგრევებზე საკუთარი ეროვნული სახელმწიფოების აშენებაა.

აღბათ ჩვენი მკითხველი იკითხავს: ვინ არის ეს ძალა, რომელიც რუსეთის ჰიდრას მოჭრილ თავებს ამოუწვავს და დაუდალამს? სად არის ის გარეშე ძალა, რომელიც რუსეთს თავის საკუთარ კალაპოტში ჩააყენებს, საკუთარ საბუღარს გაუჩენსო?

უნდა გულწრფელად ითქვას, რომ მსოფ-



ლიო ომის დასრულება, თავისი შედეგებით, ერთგვარ უსამართლობის და უთანასწორობის ნიადაგზე დამყარდა. ზოგიერთა მეომარ და გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა იმდენი ახალი მიწა - წყალი შეიძინეს, რომ ლამის არის სიუხვის გამო სიუხვეში ჩაიხჩენენ. ისეც დიდი და უზარმაზარი ინგლისის იმპერიამ მსოფლიო ომის მოგებით მრავალი ახალი მიწა - წყალი შეიძინა. ახლა მთელი მისი ზრუნვა - ფიქრები დიდი იმპერიის საზღვრების გამაგრებაშია. ეგრეთ წოდებულ „ავტარკიის“ მეოხებით უზრუნველ ჰყოს თავის სამფლობელო. მთელ მსოფლიო პოლიტიკასაც ამ თარაზოდან უცქერის. ხელცარიელი არც საფრანგეთის სახელმწიფო დარჩენილა; მრავალი მდიდარი კუთხე შემოიერთა და განცხრომით შეუძლია ცხოვრება. ერთად - ერთი ფიქრი და ზრუნვა მხოლოდ გერმანიის საშიშროებისაკენ არის მიმართული. მისი რუსეთისადმი გულში ჩაკონებაც სწორედ ამ შიშით არის გამოწვეული. რუსეთის დიდი პანსლავური მისწრაფებაც კი ჭკვაში უჯდება; საფრანგეთის სამფლობელოს და სახელმწიფოს უზრუნველყოფლობას არაფერი საშიშროება არ მოელის — უკეთუ რუსეთი დრეზდენის მახლობლად მიჯნას ჩაიყრიდეს.

დამარცხებულ სახელმწიფოთა შორის ყველაზე მეტად დაზიანდა გერმანეთი. ეს ევროპის ხერხემალი, ძლიერი მრეწველობა - ალებ-მიცემობით, ძლიერი სულიერი კულტურით, უშრეტ შრომის უნარით, თითქმის სამოცდაათ მილიონ მცხოვრებით მოამწყვდიეს სულ პატარა ტერიტორიაზე და გასაქანი არსაით ეძლევა. ომამდის მისი ნაწარმოები მთელ დედამიწის ზურგს რწყავდა, მის ინდუსტრია - მრეწველობას ფართო გასაქანი ჰქონდა. დღეს კი, ვიმეორებთ, ჩაჭედილია ვიწრო კალაპოტში. ასეთ მდგომარეობაში დიდი, უნარიანი ერის გაჩერება შეუძლებელია; იგი ადრე თუ გვიან სალტეებს შემოიწყვეტს და თავის ბუნებრივ გზას მოსძებნის. გერმანიას დასავლეთისაკენ

გასაქანის გზა არა აქვს. ეს ამათ ბელადს არა ერთხელ და ორხელ განუცხადებია. ატლანტის ზღვაზე გაბატონების სურვილიც დიდი ხანია პატრონს ჩაჰბარდა. მაგონდება, რამოდენიმე ათეული წლის წინად გერმანიის ყოფილი იმპერატორი ვილჰელმ მეორე რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს დეპეშით მიესალმა: — ატლანტის ოკეანეს ადმირალი ყვითელი ზღვის ადმირალს მეგობრულად გესალმებო! ეს მხოლოდ ცეზარული გატაცების სურვილი იყო და მეტი არაფერი! დღეს არც ერთ გერმანელს ასეთი საოცნებო სურვილი ფიქრადაც არ მოუვა. დღევანდელ გერმანელ ხელმძღვანელების მიერ ინგლისთან საფლოტო ხელშეკრულება სულ საწინააღმდეგოს ღალადებს. გერმანელების მიერ ერთ დროს შემუშავებული დევიზი: „დრანგ ნახ ოსტენ“ (აღმოსავლეთისაკენ გაწევა) დღიურ საკითხად გადაიქცა და ადრე თუ გვიან ამ მცნებას ხორცი შეესხმება, სურვილი საქმედ იქცევა!

მგოსანთა თავადი, გოეტე ღრმა მოხუცებულობის დროს პოეტური შორსმჭვრეტელობით ოცნებობდა პანამის, სუეცის და რაინ-დონის არხების გაჭრაზე კაცობრიობის სადღეგრძელოდ. 1827 წ. იმედ - აღსავსემ სთქვა: პანამა - სუეცის არხების გაჭრას შეიძლება მოვესწრო და ღირდეს კიდევ რომ მოვესწროვო; მინდა მოვესწრო აგრეთვე, რომ მდინარე დონი მდ. რაინს შეუერთდესო. მაგრამ უკანასკნელი ისეთ დიდ დროსა და საშუალებას მოითხოვს, რომ არ მგონია გერმანიამ საკუთარი ძალით ეს შესძლოსო. იმ დროს ხომ გერმანია მრავალ სამეფოებად და სამთავროებად იყო დაყოფილი და ასეთი სურვილის სისრულეში მოყვანა მართლაც რომ იმდროინდელ გერმანიის ძალას აღემატებოდა. მაგრამ მას მერმე ბევრმა წყალმა ჩაიარა; გერმანია გაერთიანდა, შეიქმნა უძლიერესი სახელმწიფო, უძლიერესი მრეწველობა - ვაჭრობით, უდიდეს სულიერ - ნივთიერი ავლა -

დიდებით. რაინ - დონის არხის გაყვანის საქმე წარმატებაშია. ის პოლიტიკური დამაბრკოლებელი მიზეზები მძიმე - მძიმედ განზე იდება. იტალია - გერმანიის კავშირი, იტალიის ბალკანეთის სახელმწიფოებთან შეთანხმება — ეს ისეთი სათვალსაჩინო მოვლენებია, რომლებიც წარმატებით ხელს უწყობს რაინის შავ ზღვასთან გადაბმას. დღეს ელექტრონის, რადიოს და ჰაერთა მფრინაობის ხანაა; ის რაც წინეთ კუთხის ნაბიჯით მიდიოდა, დღეს ყველა საქმეს აქილესის ფეხები გამოეხება. რაინი, დონი, შავი ზღვა, ამიერკავკასია, ეს გზა და ხიდი ევროპასა და აზიის შორის, მჭიდრო გზით გადააბან ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთს. აბა ამ განზრახვას გვერდში ამოუყენეთ იაპონიის ჩრდილო ჩინეთში გამაგრება, მანჯუკოს განმტკიცება; აბა, გერმანიიდან შორეულ აღმოსავლეთამდის ლარი

გააბით, თუ გერმანიასა და იაპონიას თანაბრად არ დაჰკრას მხრებზე; თუ ორივე სახელმწიფო სავაჭრო გზებითა და მიმოსვლით ერთმანეთს არ შეხვდნენ. მაშინ კი საქმედ იქცევა ძველი დავიწყებული გზა, გზა ევროპასა და აზიის შორის, კავკასიის ყელით. აღსდგება ძველი უდიდესი ისტორიული სავაჭრო აღებ-მიცემობის გზა. მაშინ ბედოვლათ რუსეთის ბატონობას კავკასიაში და დასახელებულ დიდი გზის მანძილზე ადგილი აღარ აქვს და აღარც ექნება. ეს გზა არ იქნება და არც შეიძლება იყოს რომელიმე სახელმწიფოს. პოლიტიკური ბატონობის ობიექტი, არამედ თავისუფალი თანამშრომლობა ურთიერთა შორის საბედნიეროდ. ესეც ის იმედებია, რომელსაც მოელის კავკასიის მომავალი თავისუფალი ხალხი გარეშე ძალიდან.

ვლ. ახმეტელი

ს უ ლ ი დ ა ტ ე ხ ნ ი კ ა

ტექნიკურ გაუმჯობესობათა განვითარება და განსაკუთრებით სამხედრო - ტექნიკურ გაუმჯობესობათა განვითარება, უფრო და უფრო იპყრობს სამხედრო წრეების ყურადღებას.

ომის ტექნიკური საშუალებანი ფრიად რთული არიან; მათი მოქმედების შესწავლას მრავალი დრო სჭირია, ხოლო მათ გამოყენებას დიდი სიფრთხილე, ყურადღებით მოპყრობა და დიდი უნარი, რომ კაცმა მათი თვისებით ისარგებლოს.

ბრძოლის ველზედ ტექნიკაზედ მრავალი რამ არის დამოკიდებული და ყველა დანარჩენ თანაბარ პირობებში, გამარჯვება თითქოს იმ მხარეზედ უნდა იყოს, რომელსაც ეს უკეთესი ტექნიკური გაუმჯობესობანი უფრო ჭარბად აქვს. მაგრამ ტექნიკურ გაუმჯობესობათა საიდუმლო დიდხანს არა რჩება იმათ ხელ-

ში, ვინც ის გამოიგონა და მოწინააღმდეგენი მალე უთანასწორობენ ერთმანეთს თავის ძალებს.

ვერ უთანასწორობენ ერთმანეთს თავის ძალებს მოწინააღმდეგენი მხოლოდ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების გათანაბრების საქმეში, საჭირო ადგილზედ, საჭირო დროს და მათ თვისებათა მიხედვით. ამას უკვე ხელოვნება ეწოდება და იგი ეკუთვნის განზრახვის ფარგალს ანუ ბრძოლისა და ომის გაძლოლის ხელოვნების ფარგალს.

საომარ ეტლებისა და ტანკების შორის ათასი წლებია ჩაწოლილი; ერთნიც და მეორენიც, უმთავრესად, მოწინააღმდეგის ფრონტის გარღვევის საშუალებანი არიან. მაგრამ თანამედროვე ბრძოლებში საომარ ეტლებს უკვე აღარავინ მიმართავს, თუმცა ფრონტის გარღვევა, როგორც გამარჯვების ერთი პირო-

ბათაგანი, უცვლელი დარჩა. ამ რიგად, საომარი ეტლები ადამიანის ჭკუის ძალდატანებით და ტექნიკურ შესაძლებლობათა საშუალებით ტანკებად იქცნენ.

ჰაეროპლანები, ტანკები, გაზები, ყუმბარების დაშენა და სროლა ჰაერიდგან, ას - ვერსობით მაშენი არტილერია, მოსალოდნელი რაიმე „სიკვდილის სხივები“, ტექნიკურად გაუმჯობესებული კავშირის საშუალებანი: ტელეფონი, უმავთულო ტელეგრაფი, ტელევიზია, ჰელიოგრაფები და სხვა ბრძოლის გასაძლიერებლად ფრიად რთულ ვითარებასა ჰქმნიან.

ყველა ეს გაუმჯობესობანი ისეთის ძალით ჩაჯდნენ თავისი რთული შინაარსით ადამიანის გონებაში, რომ ზოგისთვის შეიქმნა შთაბეჭდილება და ბევრისთვის ხომ რწმენაც, რომ გამარჯვება ბრძოლის ველზედ, ტექნიკაზედ და მხოლოდ ტექნიკაზედ არის დამოკიდებული. ტექნიკა საქმის არსს აბნელებს, სამხედრო საქმის არსობითი საგანი მეორე პლანზედ გადაჰყავს და როგორც ამის შედეგთან, საქმე გვაქვს გარეგნობით გატაცებასთან, საქმის ნივთობრივ მხარესთან, საქმისავე საზიანოდ. ზოგი იქამდისაც კი მიდის, რომ სულს ტექნიკას უპრისპირებს და მათში ორს ურთიერთ მებრძოლ ფაქტორსაც კი ხედავს, როგორც არის მაგალითად ჯავშანი და იარაღი. ეს ხომ სავსებით სწორი არ არის.

რათა უკეთ წარმოვიდგინოთ, თუ რა ხელოვნებას შეიცავს ბრძოლის წარმართვა, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენენ თავის შინაგანი არსებით ბრძოლა, ომი. ბრძოლა არის ორივე მხარის ფსიქოლოგიური ძალების და მხოლოდ ფსიქოლოგიური ძალების შეხება. ნივთიერი ძალები აქ მხოლოდ ფაქტორებია, რომ მებრძოლის ფსიქოლოგიაზედ ზედმოქმედება იქონიო.

როდესაც ერთი მხარე, ამა თუ იმ გარემოებათა გამო, იძულებულია გამოტყდეს, რომ ჩაყენებულია გარემოებაში, როცა წინააღმ-

დეგობის გაწევის თავი აღარა აქვს, მაშინ მის გუნებაში ფებს იკიდებს რწმენა, რომ მარცხებულია და მხოლოდ მაშინ სტოვებს ბრძოლის ეელს.

ბონაპარტმა არკოლთან იმითი მოიგო ბრძოლა (ბრძოლის მეორე დღეს), რომ ავსტრიელების ზურგში თავის მებუკეებს შეტევა დააკრევიანა. ავსტრიელები გაოცდნენ და წაზმოიდგინეს, რომ ფრანგული ჯარების მიერ შემოვლილები იყვნენ; ამან მათი მორალი დასცა და მათ დასტოვეს პოზიციები, რომლებსაც მანამდის, ორი დღის განმავლობაში, დიდის წარმატებით იცავდნენ.

რა თქმა უნდა, ეს იმას არა ნიშნავს, რომ მებუკეების მტრის ზურგში გაგზავნა გამარჯვების სწორი საშუალება არის. საქმე არც ეს მებუკეებია, მაგრამ იმ დროში და მაშინ შექმნილ გარემოებაში ამ საშუალებამ მოწინააღმდეგის მორალზედ ზედმოქმედება აქონია.

ჰინდენბურგს მიაწერენ სიტყვებს, ჯერ კიდევ უკანასკნელ ევროპიულ ომის დასაწყისში ნათქვამს, რომ გაიმარჯვებს ის, ვისაც უფრო მაგარი ნერვები გამოადგებაო.

ბრძოლის პირველი და მთავარი იარაღი ადამიანია; იგი შესდგება ფიზიკურის, გონებრივის და სულიერის ძალებისაგან. რომელია რომ ბატონობს ამ ძალებში? ეს დამოკიდებულია მრავალის მიზეზისაგან და მათი განხილვა ჩვენი წერილის საგანს არ წარმოადგენს.

ხაზი უნდა გაუსვათ იმ გარემოებას, რომ სულით უფრო ძლიერ ადამიანს უფრო შეუძლია გაჭირების და მარცხის ატანა და, მასადაამე, უფრო სასურველი ელემენტია ომში და ბრძოლაში.

სულიერი ძალის უპირატესობა აღნიშნულია სამხედრო საქმის ყველა მცოდნის მიერ.

„გამარჯვების სამი მეოთხედი დამოკიდებულია ზნეობრივ ელემენტზედო“ — ამბობდა ნაპოლეონი, ყველა დროების და ყველა ერების ეს უდიდესი მხედართ - მთავარი.

რამდენიც გნებავთ მაგალითი არსებობს, რომელიც სამხედრო საქმის ამ სულიერ მხარის მნიშვნელობაზედ მეტყველობს.

ყველა დიდი მხედართ - მთავარი სარგებლობდა ამა თუ იმ ხერხით, რომ მოწინააღმდეგის ფსიქიკაზედ ზედგავლენა მოეხდინა.

თვით შემოვლაც კი მოქმედობს უმთავრესად მოწინააღმდეგის ფსიქიკაზედ, თორემ თეორიულად შემომვლელი თვით არის შემოვლილი.

ბრძოლაში და ომში აუცილებელია, რომ მოწინააღმდეგის მორალური ძალები დასცე, რათა აიძულო, რომ წინააღმდეგობის გაწევაზედ ხელი აიღოს. ამისი ხერხი, გარემოების მიხედვით, სხვადასხვანაირია. აქ ადგილი უნდა ჰქონდეს როგორც ფიზიკური ზიანის მიყენებას, ისე მოწინააღმდეგის წარმოდგენაზედ ზედმოქმედებას და სხვას და აგრეთვე მოწინააღმდეგის წიაღში პაციფიზმის, ინტერნაციონალიზმის და სხვა მოძღვრებათა წინასწარ ქადაგებასაც.

რა თქმა უნდა, ფიზიკური ზიანის მიყენება წარმოადგენს გამარჯვების უფრო ადვილ და ნამდვილ საშუალებას და ყველა ამას ესწრაფვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრძოლაში გამძლეობა ეხლა უფრო ნაკლებია, ვიდრე უწინდელ დროში და საერთოდ სამხედრო ქველობა თანდათან კლებულობს.

კანის ბრძოლებში, რომაელებმა ერთი დღის განმავლობაში 90 პროცენტი დაჰკარგეს და მხოლოდ ამის შემდეგ დასოტვეს ბრძოლის ველი. საფრანგეთ - პრუსიის ომის ზიანი 1870 — 71 წლებში (გაგრძელდა ერთ წელზედ ნაკლები) 10 — 12 პროცენტი იყო. რუს — იაპონელთა ომმა (გაგრძელდა წელიწად-ნახევარზედ ცოტა მეტი) — 15 — 18 პროცენტი. უკანასკნელმა ომმა (გაგრძელდა 4 და ნახევარი წ.) მოგვცა უფრო მაღალი პროცენტი, მხოლოდ თავის ხანგრძლივობის გამო.

ასე, მაგალითად, 7 მილიონ გაწვეულ ჯარისკაცში საფრანგეთს მოუკლეს ერთი მილიონი და ორასი ათასი, ე. ი. დაახლოვებით 15 პროცენტი, ხოლო თუ ამ პროცენტს 4 და ნახევარ წელზედ გავყოფთ, წლიური ზიანი დაახლოვებით 3 პროცენტი გამოდის; დაქრილთა რიცხვი, ჩვეულებრივ, მოკლულზედ ოთხჯერ მეტი ითვლება. ამ რიგად, თითო წელიწადი იძლეოდა საერთო ზიანის დაახლოვებით 15 პროცენტს.

მე მოვიყვანე როგორც მაგალითი — საფრანგეთი, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ, პროცენტულის ანგარიშით, მოკლულებით და დაქრილებით მან დაჰკარგა უფრო მეტი, ვიდრე უკანასკნელი ევროპული ომის სხვა მონაწილეებმა.

ამ რიგად, არ ითქმის, რომ სიკვდილის მთესველ საომარ საშუალებათა ზრდასთან ერთად, პროცენტულად, ზიანის ზრდამაც იმატა. პირიქით, რაც უფრო სიკვდილის მთესველია ბრძოლის საშუალებანი, მით უფრო კლებულობს გამძლეობის უნარი ბრძოლებში, რადგან ეს სიკვდილი ადამიანის წარმოდგენაზედ მოქმედობს, საგანგებოდ ლახავს მის მორალს, მის ნებისყოფას გამძლეობისადმი.

აღსანიშნავია, რომ სიკვდილის მთესველობა იწვევს თავსაც ხერხებსაც, როგორც პასივურს, ისე აქტივურს. ასეთებია — ფარები, ნიადაგის დანილაბება, მასკები, ჰაეროპლანების და ტანკების საპირისპირო არტილერია და სხვა.

ცხადია, რომ შეიარაღებისა და ტექნიკურ საშუალებათა უპირატესობას მორალის ამაღლებაც შეუძლია, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში აქვეითებს კიდევაც.

ამისი ბრწყინვალე მაგალითი იტალია — აბისინიის ომია.

ზოგი სამხედრო ავტორიტეტი, უმთავრესად აბისინიის ტოპოგრაფიის შესწავლაზედ და მეომარ მხარეთა ჯარების რიცხოვრივ შედარებაზედ დაყრდნობილი, წინასწარმეტყვე-



ლებდა, რომ ომი ხანგრძლივი გამოდგებოდა. დიდი მნიშვნელობა მიაკუთვნეს საქმის მატერიალურ მხარეს და დაივიწყეს სული.

მატერიალური მხარის ანგარიში შედარებით ადვილი საქმეა; მაგრამ მისი გავლენის გამონგარიშება საქმის სულიერ მხარეზედ მეტად ძნელია და შეცდომა აქ ხშირია.

ქეშმარიტად, ადამიანის სულიერ ძალის შეფასება. შეუძლებელია, რადგან იგი აუწონავია და გაზომვას სავსებით არ ექვემდებარება.

ამ მიზეზთა გამო, ჩვენ ვიცით მაგალითები, როცა ბრძოლით აღებული ყოფილა, ერთის შეხედვით, მიუდგომელი პოზიციები და სიმაგრენი და, პირიქით, ტოპოგრაფიულად არახელსაყრელ პოზიციებს ბოლომდის დაუცავთ თავი. უკანასკნელი ტექნიკის მიხედვით წინასწარ დამზადებული ვერდენის ფორტები, უკანასკნელ ომში, მოწინააღმდეგის არტილერიამ მიწასთან გაასწორა და ნაწილობრივ აილო კიდევაც, მაგრამ მისმა გმირმა დამცველებმა ვერდენი სახელდახელოდ გათხრილ დროებით სანგრების საშუალებით შეინარჩუნეს.

საქმის არსი ჯარის სულია და, მაშასადამე, პირველი და მთავარი საზრუნავი საგანი სულიერი მხარე, რომელშიაც შედის ტვინიც, ანუ ჯარის წრთვნა.

ჯარის მატერიალურად უზრუნველყოფა და ამით ტექნიკურადაც — მხოლოდ ფულის საკითხია და სხვა არაფერი. ჯარის სულს კი ფულით ვერ შეისყიდი. ამისთვის საჭიროა მთელი ერის აღზრდა და, რა თქმა უნდა, ჯარისაც ცალკე.

ჯარი უნდა იყვეს გაწრთვნილი სამხედრო მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის თანახმად, შენი ქვეყნის განსაკუთრებულ თვისებათა მიხედვით და შესაძლო მტერთა ხასიათის ცოდნით. ჩვენზედ უნდა მოქმედებდეს სამშობლოს სიყვარულზედ დამყნელი სული!

სამშობლოს წინაშე ვალი, სამსახურის მოვალეობა, ამხანაგების წინაშე ვალი, ნამუსი, ღირსება და სამხედრო სათნოება უნდა გახდეს ყოველდღიური მრწამსი ყოველი მამულიშვილისათვის და განსაკუთრებით მხედრებისათვის.

ამ მცნებათა მყნობა ხელმძღვანელ იდეათ უნდა იქცეს ჯარის აღზრდის და წრთვნის სამქეში. ხოლო ჯარის წრთვნის საქმე ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ ყოველ ჯარისკაცში ძირი გაიდგას თავის თავისა და თავის იარაღის რწმენამ.

გ. კვინიტაძე

ც ა ვ კ ა ს ი ა — ჟორდანიას კაცი

ყველა მმართველს თავისი ეპოქის მასახელებელი კაცი ჰყავდა. თამარ დედოფალს — შოთა რუსთაველი, ვახტანგ სჯულმდებელს — საბა ორბელიანი, პატარა კახს — დიდი ანტონ ქათალიკოსი. როგორც ეტყობა, ჟორდანიას ეპოქის მასახელებელ კაცად ისტორიაში ცავურია დარჩება.

საქართველო არც ჟორდანიას ეპოქაშია უკაცო ქვეყანა, რაც უნდა იყოს, ჟორდანია

სხვაა და საქართველო სხვა. ჩვენს დროში სცხოვრობს ისეთი დიდი ქართველი, როგორც ივანე ჯავახიშვილია. ჟორდანიას შეეძლო თავის ეპოქის მასახელებელ კაცად ის ჰყოლოდა. მაგრამ ჩვენ დიდ ისტორიკოსს ჟორდანიასთან საერთო არაფერი სურს. მენშევიკურ მთავრობას ჯავახიშვილი „ყაჩაღურს“ ეძახის. ამ ამბავს ჩვენი მკითხველი ჩვენი ჟურნალის წინა ნომერშიაც ამოიკითხავდა. ისტო-

რიკოსის ასეთი განაჩენი „სიცოცხლეში“ არც ერთ მთავრობას არ მიუღია. მაგრამ ამ მთავრობის გაზეთი „ბრძოლის ხმა“ სხვას ეძახის ყაჩაღებს და თითონ ცაგურიას ქება - დიდებით კმაყოფილდება.

ეს ამბავი ჟორდანიასეულ ემიგრაციის ისტორიის ერთი ფურცელთაგანია, იქნება ყველაზედ უფრო სამარცხვინო და მისი განმეორება ზედ მეტი არ იქნება.

ამას წინად, ჩვენს ჟურნალში მე მოვათავსე ერთი წერილი, გამოწვეული იმ იერიშით, რომელიც მენშევიკებს და ცაგურიას ჩვენ ყოფილ მთავარ სარდლებზე და საზოგადოთ ქართულ სამხედრო წრეებზედ მიჰქონდათ და დღესაც მიაქვთ. პირველები „ბრძოლის ხმადგან“ უტყვენ მათ, მეორე — ცალკე წიგნაკებით. კერძოდ ცაგურიას შესახებ აღსანიშნავია ის პატარა გარემოებაც, რომ, არ ვიცი, სარეცენზიოთ თუ ჩემდა გამოსაჯავრებლად, თავისი წიგნაკი ცაგურიამ თითონ გამომიგზავნა. მე რეცენზენტის მოვალეობა შევასრულე, და ჩემს წერილში, რომელიც უმთავრესად მენშევიკ „პუბლიცისტების“ ვარჯიშობას ეხებოდა, ცაგურიას აბდა - უბდა წიგნაკზედაც ორი დებულება გამოვთქვი: ერთი — რომ არასოდეს ცაგურიასთვის არავის „აჯანყებულ საქართველოს სირდარის“ ტიტრი არ მიუცია და მეორე — რომ არც ერთი რიგანი და პატიოსანი ოფიცერი თავის თავს ნებას არ მისცემს, რომ თავის ყოფილ მთავარ - სარდალს ასე უზრდელად ელაპარაკოს-მეთქი. რაც შეეხება თვით საკითხს, მე კიდევ ვიმეორებ: ცაგურიას დავალებული ჰქონდა შეესრულებინა ერთი ამოცანა (აჯანყების სრული გეგმის მხოლოდ ერთი ნაწილი), მაგრამ მან ვერა თუ ეს ამოცანა ვერ შეასრულა, თავის დანიშნულების ადგილზედაც ვერ მივიდა. მოკლედ რომ ითქვას, ცაგურია იმ დღეს არ „აჯანყებულა“. რომელი უფლებით-ღა უწოდებს ეს ვაჟ-ბატონი თავის თავს და ისიც „აჯანყებულ საქართველოს სირდარს“, ეს

ვერ გამოგია და ვერც გავიგებ. მით უმეტეს, რომ „აჯანყებულ საქართველოს“ თავისი ნამდვილი მეთაური ჰყავდა. ცაგურიას შესახებ მე მეტი არაფერი მითქვამს და იქნება სულ არაფერი მეთქვა, (მანიაკი ხალხის თავი მე არა მაქვს), გრაფომანს ცაგურიას რომ თავისი წიგნაკი თითონ არ „ეახლებინა“ ჩემთვის.

ჩემს წერილზედ, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი პასუხი „ბრძოლის ხმამ“ გაცა. რიგანი პასუხს მენშევიკურ გაზეთისაგან მე არც მოველოდი და არც ის გამიკვირდა, რომ ჩემი წერილის საპასუხოდ, (სამხედრო ეთიკის საკითხების გამო), გაზეთმა, სადღაც სტრიქონებში, ურიების დუქნების მცარცველი მიწოდა. მცარცველი მიწოდა ისეთმა ხალხმა, რომელსაც, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, მცარცველებს და ყაჩაღებს უკვე ისტორიკოსები უწოდებენ (იხილე ივანე ჯავახიშვილის წერილი, „კავკასია“, ნომერი 3).

მაგრამ გაზეთი საკუთარი პასუხითაც არ დაკმაყოფილდა და სხვებსაც გადასძახა. იგი სწერდა: „ბ. ამირეჯიბი არც კვიტაიშვილს და ირ. ცაგურიას აკლებს თავის მაღალ ყურადღებას. ისინი თუ საჭიროდ დაინახავენ თვითონ გასცემენ პასუხს“-ო.

ამ რიგად გაზეთმა „დირექტივა“ გასცა და სხვებიც მომისია.

ცაგურიამ „ბრძოლის ხმის“ გადაძახილი კარგად გაიგო, პასუხი „საჭიროდ“ დაინახა და მთელი წიგნი გამოსცა. „ბრძოლის ხმის“ თანამშრომელთა და ცაგურიას შორის, რომ წიგნაკის შინაარსის გამო, სხვა პირობაც იყო დადებული, ეს იქიდგანა სჩანს, რომ ცაგურიამ გამოილაშქრა არა მარტო ჩემს წინააღმდეგ, რომელიც ამ პოლემიკაში მონაწილეობას ვიღებდი, არამედ იმათ წინააღმდეგაც, ვისაც ცაგურიას შესახებ არაფერი არ უწერია. რაკი მენშევიკებმა ისეთი კაცი იგდეს ხელში, რომელსაც არაფრის თქმა არ ეთაკილება, მათვე ურჩიეს, ეტყობა, რომ ცაგურიას, ჩემთან ერთად, ბარემ ყველა გაე-



ლანძღა. მაგრამ ვინ? რა თქმა უნდა, ყველა ის, ვინც მენშევიზმის წინააღმდეგია და არა პირადათ ცაგურიასი, რადგან, კიდევ ვიმეორებ, ცაგურიას მიერ დღეს გალანძღულ ხალხს, ცაგურიას წინაშე ცოდვა არაფერი არ მიუძღვის, მაგრამ მენშევიკების წინააღმდეგი კი არიან.

ეს არის მიზეზი, რომ სურათი მართლა საოცარი და მოულოდნელი გამოვიდა. ცაგურიას შესახებ ორიოდ სიტყვა ვსთქვი მხოლოდ მე, ცაგურიამ კი გალანძღა მთელი ეროვნული ემიგრაცია: დიდი და პატარა, ცოცხალი და მკვდარი, ბრალიანი და უბრალო, ქალი და კაცი, მწერალი და მოღვაწე, გენერალი და ოფიცერი, შეფიცული და ბელადი, მთავარ - სარდალი და ეროვნული გმირი.

ცაგურიას წიგნაკი ქართული მენშევიზმის აღსარებაა. რაც ემიგრაციაში წამიკითხავს, ან გამიგონია, მას მხოლოდ ჟორდანიას „აბესალომისადმი“ მიწერილი ცნობილი წერილი თუ შეედრება. და ეს მსგავსება შემთხვევითი არ არის. ცაგურია ჟორდანიას კაცია! აქეთ რომ მე და ამდენ ხალხს გვლანძღავს, იქით ჟორდანიას აქებს. ეს ლანძღვა და ქება ცაგურიას წიგნაკში პარალელთა მიდის. ჟორდანია მისთვის „ქართული ნამუსის და თავისუფლების მატარებელი“ დიდებული მოხუცია, საბრალო გენ. ოდიშელიძე კი — მოლაღატე. საქართველოს გმირი „დიდი ვალიკო“ ჯუღელი ყოფილა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი — „ბლიოფისტი“ და კინალამ „მოლაღატე“. ცაგურიას ხომერიკის სოციალიზმი სწამს (მაგალითად ამნაირი: „ხომერიკი მიწებს გვართმევს, სიმონიკა გვასამართლებს“). მოკლედ, ცაგურია ნიღაბ ახდილი მენშევიკია. ცაგურია დიდი გულადი კაციც ყოფილა. მან იცის, რომ ჟორდანიას არავინ სიკვდილს არ უპირებს, მაგრამ ის მაინც ჰყვირის: დეე, მე და ჟორდანია ერთად მოგვკლანო. მაგრამ თუ მე და ჟორდანია (კიდევ!) ცოცხალი გადავრჩით, დედას გიტი-

რებთ, საქართველოში არავის ცოცხალს არ გაგიშვებთო. ასე კვდება ცაგურია ჟორდანიათა გულისთვის, ასე სურს ჟორდანიათა სახელით ჩვენი ამოწყვეტა. კიდევ ვიმეორებ, ცაგურიას წიგნაკი ქართული მენშევიზმის აღსარებაა!...

„ბრძოლის ხმამ“ ურიების დუქნების მცარცველი მიწოდა. ცაგურია უმატებს, რომ მე გორის სომხები და ქართლის ეკლესიებიც მიცარცვამს. მევე მიწერია ანონიმური წერილები ქართველ მანდილოსნებთან. ვარ დეზერტირი და დედით სომეხი. ხოლო ჩემი ძველი გვარი ძაღლის ჯიშისა ყოფილა. ეტყობა ეს არის მიზეზი, რომ ერთ ადგილას ცაგურია პირდაპირ „სუკინ სინ“-ს მეძახის.

სამაგიეროდ ნამდვილი ქართული გვარი ცაგურიების გვარი ყოფილა. მენშევიკ პუბლიცისტის მამა — „მრისხანე მეგრელ აზნაურების“ ჩამომავალი ბრძანებულა. ცაგურიას, რომელმაც ჩემი გვარი ასე გაათახსირა, ეტყობა თავისი გვარისა თითონაც არა სჯერა და სხვა უფრო დიდ გვარებს იშველიებს. მის გვარს ოთხი დიდი კლანი მიუცია მსოფლიოსათვის: ჰერცოგ საგურების გვარი — ისპანიაში, კონტი სეგურები — საფრანგეთში, სამურაების გვარი, ბარონ საკურები — ააპონიაში და დიდ მხედართ - მთავრების გვარი ცეგური — ტიბეტში. მაგრამ ცაგურიას მამა რას გვიქვიან?! თქვენ ცაგურიას დედა უნდა იკითხოთ. მენშევიკ ცაგურიას დედაც „დიდებული ქართველი დედა“ ბრძანებულა. ისიც თურმე ივერიის ლეგენდარულ არქიერების ჩამომავალი ყოფილა; ეტყობა, ჯერ კიდევ მაწინდელი, როცა საქართველოში „ცოლოსანი“ ეპისკოპოზები იყვნენ. ეს ამბავი სასაცილო არ არის. ცაგურიას განსვენებული დედა იქნება მართლა რიგიანი ადამიანი ბრძანდებოდა. თქვენ მხოლოდ ჟორდანიათა დროის დაკნინებული ქართული იდეალი ნახეთ, რომ როცა დედამ ჩიხირთმის კეთება იცის, შვილებს „დიდებულ ქართველ

დედათ“ მიაჩნიათ. სავალალო ეს არის, თორემ ცაგურიას დედასთან ვის რა ხელი აქვს. სავალალო კიდევ ის არის, რომ შვილმა თურმე დედის პატიოსნებითაც უნდა იტრაბახოს. ცაგურია გაჰკივის: დედა ჩემს დეზერტირები და პროსტიტუტკები არ უშობიაო. და იქვე უმატებს: „მგონია ამირეჯიბი მიხვდება სადაც ურტყამო“?.

მივხვდები, როგორ არ მივხვდები, შე დედა განათლებულო ცაგურიავ! მაშასადამე, ჩემი მოხუცი დედა, რომელსაც არც ისპანელების, არც ფრანგების, არც იაპონელების და არც ტიბეტელების ნათესაობა არა სჭირდება და თითონ არის წმინდა ქართული სისხლის თავადი, ეს ჩემი მოხუცი დედა ყოფილა დეზერტირების და პროსტიტუტკების დედა. კარგი ქართულია. არა უშავს რა, მე და დედა ჩემი ამას როგორმე ავიტანთ. ცაგურია რა იცის სხვისი დედა რა ხილია!? ცაგურია ბატარეის ცხენია, რომელსაც თავისი თავი ოფიცერი ჰგონია.

მაგრამ რას იტყვიან ასეთ მწერლობაზედ „ბრძოლის ხმის“ განათლებული თანამშრომლები, რომლებმაც პირველებმა დამიძახეს ურიების მცარცველი, რომლებმაც პირველებმა გადასძახეს ცაგურიას, რომ ჩემთვის გორელ სომხების და ქართლის ეკლესიების მცარცველიც ეწოდებინა და ბოლოს ჩემი გვარი, სახლი და სახელი გაელანძლა.

ისინი ვერაფერს ვერ იტყვიან და რაც სათქმელია, მე თითონ უნდა ვსთქვა:

საქართველოში ყაჩაღები, მცარცველები და კაცის მკვლელები კერძოდ და შეერთებულად მენშევიკები იყვნენ. დაიწყეს ყაჩაღობით და კაცის კვლით და გაათავეს საქართველოს სიკვდილით და ეკლესიების გაცარცვით. ამ ნაცარცვის შესახებ სწერდა სწორედ ჩვენი ისტორიკოსი ჯავახიშვილი ამას წინად. მენშევიკებს ეს წაკითხული აქვთ და პასუხს არ იძლევიან.

კერძოდ „ბრძოლის ხმის“ ცილისწამების შე

სახებ მე ვაცხადებ, რომ ჩემი კერძო ცხოვრება და საზოგადო მოღვაწეობა ყველასთვის გადაშლილია; დამალული და წაფარებული იქ არაფერია. მე არ მიცარცვამს არამც თუ დუქნები და ეკლესიები, მე არ მომიპარავს საზოგადო კასსა, მე არ გამიყიდია ეროვნული ქონება, მე არა მყავს ცოლშვილი, ან საყვარლები, რომ გაჭირებულმა მათი გულისთვის ვიქურდო და უზნეობა ჩავიდინო. ის, რასაც ჩემ შესახებ ჩემი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი ამბობენ—მხოლოდ პოლიტიკური შურის ძიებაა. მათ სურთ საზოგადოების თვალში სახელი გამიტეხონ და საზოგადო ასპარეზიდან გამრიყონ. ბინძური ცდაა. მე უკვე ორმოცდაათი წლის კაცი ვარ და ეროვნული საქმის სამსახურში (მე არა ვყოფილვარ არც „პრეზიდენტი“, არც „მინისტრი“, არც „სირდარი“) მე განმიცდია ისეთი პატეთური წუთები, რომ ბინძური ცილისწამებით მე ეხლა ველარავინ გამაფითრებს და ჩემ რიგიან სახელზედ ხელს ვერ ამალებინებს. ვერ ამალებინებენ ხელს ვერც იმ საქმეზედ, რომელსაც ვემსახურები. განსაკუთრებით ხელს ვერ ამალებინებს ჩემს წმინდა საქმეზედ და ჩემ რიგიან სახელზედ ისეთი გაზეთი, რომლის მთავარ თანამშრომელს ბ. ნ. ჟორდანიას უარესი ბრალდება აქვს ნაწვენევი.

ბ. ჟორდანიასზედ ბოლშევიკებმა მთელი წიგნი გამოსცეს, საბუთებით დართული, (ეს წიგნი ცაგურიას წიგნთან ერთად ჩემს არხივში ინახება), რომელშიაც ნათქვამია, რომ ჟორდანიას რუსული „ოხრანის“ აგენტი იყო, ამხანაგები გასცა და მეტეხის ციხიდგან ამნაირად გაინთავისუფლა თავიო.

იქნება „ბრძოლის ხმის“ ჰგონია, რომ ბოლშევიკები ტყუილს ამბობენ ჟორდანიასზედ და მენშევიკები კი მართალსა სწერენ ჩემზედ.

მე ასე ვერ ვიფიქრებ.

მე რა ვიცი, რა შეემთხვა, მართლა, მენშევიკების ლიდერს ამ ოცადა ჩვიდმეტი წლის წინად?!

შ. ამირეჯიბი

თეიმურაზ პირველი და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“

(გაგრძელება*).

2. შირაზის ტყვეობა

ქეთევანის წამების გალექსილ ისტორიაში თეიმურაზი ეხება შაჰ - აბაზის მოქმედებას საქართველოში, დედოფლის ტყვეობას შირაზში და მის საშინელ აღსასრულს, მის ნაწილთა ამბავსაც. ჩვენ ვეცდებით ამ პოემის ზოგიერთი ბუნდოვანი მტკიცება განვიხილოთ და სხვა წყაროებიდან ამოღებული ცნობებით შევაგსოთ; თანაც ზოგიერთი გარემოება გამოვარკვიოთ, აქამდე უყურადღებოდ დარჩენილი. მათი გაგება და გათვალისწინება აუცილებელია, თუ კი გვსურს იმდროინდელი სინამდვილე ვიცოდეთ, და არა მისი ცალმხრივი და გადასხვაფერებული სახე.

არაფერს ვიტყვი ქეთევანის ადრინდელ მოღვაწეობაზე კახეთის სათავეში, 1605 წ. და შემდეგ; არც იმაზე, თუ როგორ მოხდა, რომ მეგობრობით და მამა - შვილური ურთიერთობით დაწყებული შაჰ - აბაზის და თეიმურაზის კავშირი 1624 წ. მისი დედის პოლიტიკური მკვლევლობით („წამებით“) დასრულდა; როგორ მოხდა, რომ სპარსეთის წინაშე დიდათ დასახურებული და 1600 წლითგან ოსმალთა ტყვეობაში მყოფ ქართლის მეფე სვიმონის შვილის - შვილი, ლუარსაბიც, ამ სახელის მეორე, იქვე შირაზის ქვეყანაში, ხოლო ქეთევანზე ადრე (1620 წ.) ჯალათის ხელით მოიკლა. ამისათვის დაგვიჭირდებოდა, თუნდაც მოკლეთ, ლიხთ - აქეთი და ლიხთ - იქითი საქართველოს მდგომარეობა, პოლიტიკური და საერთაშორისო, წარმოგვედგინა, მე - 17 საუკუნის პირველ მეოთხედში, ის პირობებიც, რომლის ნაყოფი იყო გიორგი სააკაძისა — „დიდი მოურა-

ვის“ ცნობილი ისტორია და სხვა. საამისო ადგილი აქ არა გვაქვს. ჩვენ საუბარი გვექნება ჯერ, მოკლედ, დედოფლის ცხოვრებაზე ქ. შირაზს, მერე, გაკვრით, მისი ნაშთის საკითხზე, უმთავრესად კი ქეთევანის წამების პოლიტიკურ ეპილოგზე, რომელიც საქართველოს იმ დროის მდგომარეობას თავისებურად აშუქებს. ჯერ ისევ თეიმურაზის „წამებას“ დავუბრუნდეთ.

რასაკვირველია, იმის აღსადგენად თუ როგორ ცხოვრობდა შირაზში ქეთევან შვიდი წლის განმავლობაში (1617 — 1624) თეიმურაზის პოემა არაა საკმარისი. მასში გამოთქმულია დიდი პათოსით, გარდა თვით წამებისა, სხვა დიდ შემთხვევებშიც ქეთევანის გრძნობები, მაგალითად, მისი სასოწარკვეთილება და გოდება, როდესაც მას წაართვეს ერთად - ერთი ნუგეში — მისი შვილის შვილები, (9,1) „ძღვენი ტურფანი“,

15,4:

ეგვიპტეს ყოფა არად ჩნდა, ზრდიდა ნაყოფსა ძისასა

ესენი რომ მოაშორეს

21:

ახ, წავხე, ახ დავიკარგი, პირსა სად მოველ ზღვისასა,
 ვაი ჩავარდი ჯურღმულსა, უყსა მას უფსკრულისასა,
 სახლ - სამყოფ - სამკვიდრებელსა ჩემსა
 არა ვარ, სხვისასა,
 ვა ალექსანდრეს გაყრილსა, ვერ მჭკრეტსა
 ლევანისასა...

ევროპიელთა ნაწერებში შენახულია დედოფლის იქაური ცხოვრებაზე უფრო სადა ცნობები. მისი შირაზში მოყვანა და დაბინა-

*) იხ. „კავკასია“ № 3.

ვება აღნიშნულია, რამოდენიმე თვის შემდეგ, ესპანელი ელჩი ფიგეროა-ას მიერ, ამისი მიზეზიც, თეიმურაზის საქმე, მისი ქვეყნის მოოხრება და ტყვეობაც. ელჩის ჩამოსვლასთანავე ქეთევანს კაცი მიეგზავნა მისი ამბის გასაგებად და ამ თავაზიანობას იმეორებდა ხოლმე, სანამ ელჩი შირაზში იყო (1617-ის გასულითგან 1618-ის აპრილამდე). თვითონ კი ვერ ბედავდა თავისი კაცით დედოფალი მოეკითხა. საპასუხო მადლობას და სალამს ისევ ქეთევანის მოციქულთა პირით შემოუთვლიდა ხოლმე. ეწინოდა სპარსელებს არა ეფიქრათ რა, მით უმეტეს, რომ თვითონაც ხომ ქრისტიანი იყო. დედოფლის ამალითგან მასთან უფრო ქეთევანის პირად აღმსარებელს, „ბაზილიანთა ორდენის წევრის“ ე. ი. აღმოსავლეთის წესის ბერს, ვინმე მოსეს ჰქონდა კავშირი, რომელმაც თავისი ყოფა - ქცევით ელჩს ძველ დროინდელი ეკლესიის მონაზონად ეჩვენებოდა, და დიდათ აქებს მას. ამ ბერის ამბავი და წამების ისტორია ვრცლად იკითხება ფიგეროა-ს წიგნში. მოსემ მიუტანა და აჩვენა მას ორი ქართული წიგნი, საუცხოვოდ ყდაში შეკრული და შემკული: დაბადება დავითნით, და სახარებანი მოციქულთა საქმით და წმ. პავლეს ეპისტოლებით.

ამ მოსე ბერს, თუმცა უსახელოდ, პ. დელლა ვალლეც იხსენიებს თავის საქართველოს შესახები „ინფორმაცია“ - ში (1627 წ.) ; მისი ცნობებითგან ირკვევა, რომ ქეთევანი შირაზში შესაფერად ცხოვრობდა და მრავალი, ორივე სქესის, მოახლენიც ჰყავდა. ჰქონდა თავისი სამლოცველო, სავსე ხატებით, ძვირფასი საეკლესიო ჭურჭელი - შესამოსე - ხატებით და წიგნებით, ხოლო უკანასკნელ ხანებში მწირველი არ ჰყავდა, არც ხუცესი, არც ბერი. ის, ვინც მასთან წინეთ ყოფილა, სპარსელებმა აწამეს, ვინაითგან, მათი აზრით, ის დედოფლის სარწმუნოებას ამაგრებდა და მის, აგრეთვე თეიმურაზის ორი

ვაჟის, გათათრებასაც აბრკოლებდაო. ამ მოსე ბერს, ვგონებ, თეიმურაზის პოემის ერთი ადგილი (56) ეხება, „მუნ ვინმე ჯვარის მოსავი ერთი უცხოთა ყოფითა ... ფარაოზისგან შეპყრილი.. მოსე ვით გამაგრებული“).

მოსე ბერის მოკვლის მიზეზი ის იყო, დედოფლის გათათრებას ხელს უშლიდაო. ეს ცნობა ალბათ სწორეა. თვით ქეთევანის წამების მიზეზიც, გარდა შურის ძიებისა, იმგვარივე უნდა ყოფილიყო. ცნობილი სომხის ისტორიკოსი არაქელ, თავრიზელად წოდებული, წამების საბაბზე ამბობს, რომ თურმე ერთხელ შაჰაბაზის კარზე საუბარი იმაზე ჩამოვარდა, რომ აი იქვე დამსწრე ახალგაზრდა ქართველები უკვე გამაჰმადიანებულან, ხოლო მათი დედების გათათრება არ ხდება და რატომაო. ეს იმიტომაო, ეთქვა ერთს, რომ დედოფალი არ თათრდებაო, და არც ჩვენს დედებს უნდათო. 'არაქელის ეს შენიშვნა საყურადღებოა. ძალიან შესაძლებელია, რომ ქეთევანის მოკვლით სპარსეთის მთავრობას უნდოდა ისეთი პიროვნება მოსპობილიყო, რომლის სიმტკიცე იქვე სპარსეთში მყოფ მრავალ ქართველების გათათრებასაც აჩერებდა. მეფეთა და ხელმძღვანელი ხალხის გათათრება კი მათთვის სახელმწიფო ე. ი. პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით იყო სასურველი და მას საჭიროდ სთვლიდენ. ამ ნიადაგზე პროგრამმაც ჰქონდათ, და ხაზოვრივ განხორციელდა 'კიდევ. პოლიტიკური და პირადი ანგარიშით გათათრების მომხრენი ქართველებშიაც ბევრნი იყვნენ საქართველოშიც უფრო კი სპარსეთში. მათი რიცხვი და წონაც იქ დიდი იყო იმ დროს; და დედოფლის სიმტკიცე და გმირობა მით უფრო საკვირველია. ეს ატმოსფერა, პოლიტიკური და საზოგადოებრივი, რომელსაც აქ მხოლოდ ზერელედ ვეხები, უფრო გასაგები იქნება, თუ კი გვეცოდინება, რომ, პ. დ. ვალლეს გადმოცემით, თვით ქეთევანის სახლში, შირაზს, მისი ნაც-



ნობები იმაზე ბაასობდენ, რომელი სარწმუნოება უკეთესია, ქრისტესი თუ მუჰამედისა; იმასაც ეუბნებოდენ, სპარსელებიც და ქართველებიც: „გათათრდი, რა გენაღვლება! გათათრდი გარეგნულად“, და ესეც იქაურ ქართველებში გავრცელებული სულის - კვეთება იქნებოდა. ამგვარი რჩევა ხომ თვით პოემაში გვაქვს, შირაზელი ხანის პირით:

35, 2-3:

შენცა მოიქეც, გათათრდი, ვითომ არ უარესია,
იესო ქრისტე რას გიზამს, გიწყრება შენ აწ ესია.

თეიმურაზის პოემაში დასახელებულია აგრეთვე ვინმე გიორგი მღვდელი. ვერც მან, ვერც ქეთევანთან მყოფ სხვა ქართველებმა შესძლეს წამების საშინელ წუთში ქეთევანთან ერთად ქრისტე აღიარებინათ. რა ნახეს აღზნებული ცეცხლი, მასში ჩაყრილი „რკინანი“, გახურებული შანფურ - გაზ - ბარები და სხვა, რჯულის „გმობა“ ირჩიეს:

61:

მღვდელმან რა ნახა, შეშინდა, იგი ცეცხლი და შიშებო,
ლახვარნი ანუ სამსკვალნი, ლურსმანი რაცა შიშები,
შეკრთა, ათრთოლდა, დაეცა, თავსა ზარი და შიშები,
გულსა ჩაემხო, ვერა ქნა სასასჯლო ანგაშერი...

რა გაასწორებს მოშაირეს! არც თეიმურაზმა „ქნა სასასჯლო ანგარიშები“, როცა დედას და შვილებს შაჰ-აბაზთან ისტუმრებდა, თვითონ კი სახლში დარჩა, აქ კი „შიშების“ მაჯამით ართულებს საქმეს. „შიში“ თათრულად შანფურია.

ეს იმერელი მღვდელი ცოცხალ პირად იქცევა პ. დელლა ვალლეს ნაწერებში. ამ რომაელ აზნაურს ძალიან იზიდავდა დედოფლის

პიროვნება და აწუხებდა მისი ბედი, მაგრამ მასთან მისვლას, რასაკვირველია, ვერ ბედავდა. ერთხელ შირაზში — ეს იყო ივნისი 1622 წ. — მკერვალის დუქანში, ვალლესთან ერთად, ვინმე საპატიო გარეგნულობის კაცი შევიდა და თუმცა იგი სპარსულად და თურქულად ლაპარაკობდა, ვალლემ იმ წამსვე იფიქრა: ეს ქართველი უნდა იყოს (ისეთი ბუნებრივი ქუდი ეხურა) და თან საეკლესიო კაციც (საამისო წვერი ჰქონდა). ისიც მოსვლია აზრად, რომ ეს ეგების ქეთევან დედოფლის მღვდელი იყოს: ერთი-და ყოფილა შირაზში, ასე ჰქონდა გაგონილი. ვალლეს უდიდესი ნატვრა იყო როგორმე კავშირი გაეხადებოდა დედოფლის რომელიმე მხლებელთან. და იქვე გაეცნენ ერთმანეთს. ეს „ხუცესი გიორგინ“ — ასე აქვს ვალლეს — არ ყოფილა ნამდვილი მღვდელი. (იგი არ სწირავდა, ამას ვალლე თავის „ინფორმაცია“-ში ამტკიცებს). თურმე დედოფლის სუფრაჯი ყოფილა და სახლის მოურავი „მაჟორდომო“. მერე ვალლეს სადილადაც ეწვია, და მათი საუბარიც მას ჩაუწერია. ვალლეს ცოლად ერთი ქრისტიანი სირიელი, სახელად მაანი შეერთო და მათ ოჯახში ახალგაზრდა ქართველი ქალი იზრდებოდა და გიორგის ქართულად დაელაპარაკა; მერე ეს „მარიუჩა“, ყოფილი თინათინ, თვით დედოფალთანაც მიყვანეს, რომელმაც დიდი ალერსით მიიღო საწყალი ქართველი ობოლი. ამ „თინათინების“ რიცხვი იმ ხანს აუარებელი იქნებოდა სპარსეთში.

გიორგი ხუცესი ბალოსნობის დიდი მცოდნეც ყოფილა. ამ დარგში ქართველები სპარსელებზე უფრო დახელოვნებულად ითვლებოდნენ. ერთხელ იგი ისპაჰანშიც მოიწვიესო ცამუშაოდ (იხ. პ. დ. ვალლეს წერილები, 16 და 17, შირაზით, 27 ივლ. 1622 და 18 იანვ. 1623 . ის თარიღით). ცხადია, ეს მებაღე და სუფრაჯი სამარტვილო კაცი არ იყო.

ამ გიორგის ხელით ქეთევანს პ. დ. ვალ-

ლესათვის საჩუქრად ორი წიგნი უბოძებია: ერთი ლათინური ლოცვანი მოოქრულ ყდაში და ერთი პორტუგალურიც, რა თქმა უნდა, სპარსელთა და ინგლისელთა მიერ დაპყრობილ (1622 წ.) ორმუზში ნადავლი და დედოფლის მიერ გამოხსნილი; წიგნებს მისივე მინაწერებიც ჰქონდათ.

ამბობენ, რომ უკანასკნელ დღეებში მას ნუგეში და სულიერი დახმარება შირაზში მყოფ აგვისტინიან მონაზონთაგან მიეღოს. (თამარაშვილი ფრანგულ თხუზულებაში — „ქართული ეკლესია“). თეიმურაზი სდუმს ამაზე და ამ დუმილს შეიძლება სხვა მიზეზი ჰქონდეს.

ვალლეს მოხსენებაში პაპი ურბანის მიმართ („ინფორმაცია“) ეს არაა დამტკიცებით ნათქვამი, არამედ იმ სახით, რომ ვინაიდან ჩვენ პატრებს — კარმელიტანებს და აგვისტინიანებს — შირაზში სახლი და ეკლესია ჰქონდათ, ვარ დარწმუნებული, რომ არ დააკლებდენ ზრუნვასო და სხვ. როგორ შეეძლოთ წამების დღეებში მასთან მისულიყვნენ, როცა წინეთაც, ვალლესვე მოწმობით, ეს შეუძლებელი იქნებოდა? ერთმა მეგობარმა, „რომელსაც მე არ ვასახელებ“-ო, მოგვითხრობს იტალიელი მოგზაური, — ეს იყო ალბათ 1622 — 3 წ. — მას იდუმალი გზით ღვთის მშობლის ხატი გაუგზავნაო. უკანასკნელ დღეებში კი თავისუფალი მისვლა - მოსვლა ხომ სულ არ იქნებოდა.

უკვე დასახელებული ესპანელი ელჩი ფიგერა ისევ შირაზით სპარსეთის ყურესაკენ რომ ბრუნდებოდა, ორი კვირა იქ დარჩა. მას უნდოდა დედოფლის ბედილბალზე მეტი რამ გაეგო — მისი წამების ამბავი მაშინ სულ ახალი იყო — მაგრამ ვინც მის სახლში იყვნენ, მათთვის გამოსვლაც აეკრძალათ და არც ვისიმე ნახვა შეიძლებოდა. სპარსელებს, ცხადია, არ უნდოდათ, რომ ისეთი სახელმწიფოს ელჩს, როგორც მაშინდელი ესპანია იყო, ამ საქმეზე მეტი ცნობები მიეღო.

ამ დიპლომატიასთვის კი ეს ცარიელი ცნობის - მოყვარეობის საკითხი არ იქნებოდა. მან იცოდა, რომ როცა ლაპარაკი იყო ესპანიის და სპარსეთის საერთო მოქმედებაზე, ოსმალეთის წინააღმდეგ, მაშინ ისიც იგულისხმებოდა, რომ სპარსეთს საქართველოს ქრისტიანი მეფეებიც მოკავშირეებად ჰყოლოდა. ამას ჯერ 1595 წ. უმტკიცებდა ქართლის მეფე სვიმონ თავის (ესპანიის არქივში ახლად აღმოჩენილ საპასუხო წერილში ფილიპე მეორის მიმართ. ამასვე ამბობდენ შაჰაბაზის ელჩებიც ევროპაში; ერთმა მათგანმა ქრისტეს რჯული იზიარა. სახელიც დაარქვეს დონ ჟუან სპარსელი. ესპანიაში დარჩა, იქ წიგნიც დასწერა სპარსეთზე, რომლითგან ზოგი რამ საქართველოზე და მის მეფეებზედაც ეცოდინებოდა დონ გარსია სილვა დე ფიგეროასაც. აქ შირაზში იფიქრბდა: ეს სპარსულ - ქართული კავშირი თავისებური რამ ყოფილა. არსებითად კი აღგზნებული ცეცხლით ადამიანზე ზედ - მოქმედება მისთვის უცხო რამ არ იქნებოდა. ეს მის ქვეყანაშიც იცოდენ.

3. ნაშთის ძებნაში

მოწამებრივი სიკვდილის შემდგომ რა დაემართა ქეთევანის გვამს, ეს მნიშვნელოვან საკითხად არ უნდა ქცეულიყო, და არც არის. მაგრამ ქრისტესათვის წამებულთა ნაშთებს ცრუ - მორწმუნეობა, სარწმუნოებრივი ეკზალტაცია და ზოგჯერ საქმიანი ანგარიშებიც, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდენ ხოლმე, ისეთი შედეგებით, როგორცაა ნაწილთა თაყვანისცემა, მათ სასწაულ - მომქმედ ძალასთან მიმართვა, აქედან მომდინარე ნაწილთა პატრონთათვის შემოსავალი და სხვა. არც ქეთევანის წამებაა გამონაკლისი ამ მხრივ, და წამებული დედოფლის ნაშთსაც თავისი ისტორია აქვს. მის გამორკვევას ჩვენ არ შევეუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ გად-



ქართული
ენების
ინსტიტუტი

მოცემათა სხვადასხვაობას და მათს წინააღმდეგობას, რაიც ამგვარ შემთხვევებში ჩვეულებრივია.

ჯერ თეიმურაზი მოვისმინოთ, რომელმაც თავისი დედის წამება დაწერილებით იცოდა და რომლის პოემა თითქმის თანამედროვეა თვით წამებისა. დაწერილია ალბათ 1627 — 1628 წლებში (ამისი დასაბუთებაც შეიძლება); ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 1633 წლისა: ამ ნაწერში შაჰაბაზი და იმამ-ყულიხან შირაზელი ჯერ ცოცხლებად სჩანან, მათი სიკვდილის თარიღები კი 1629 (იანვარი) და 1633 — ა.

თეიმურაზის თქმით, მას შემდეგ რაც ქეთევანმა

69,2:

სული თვისი მიაბარა მეუფესა, მისსა ღმერთსა და სამოთხეში ამაღლებულა (69, 3—4), იმ წამსვე

70, 1 - 2:

ზეციით მოვიდა ნათელი, იხილეს სრულად ერმანო, იესო ქრისტე აღიდეს სრულ ყმაწვილმან და ბარმანო.

ამაში იგი მისდევს აღიოგრაფიის ძველს, სავალდებულო წესს. მერე დასძენს:

71, 1 - 2:

წელზედ ახადეს საფლავსა, იგ ნინოს დასადარია, სული ამოხდა სურნელი, აღარსად იყო მკვდარია.

მაწასადამე: დაასაფლავეს და წლის თავზე „აღარსად იყო მკვდარია“. ეს რას ნიშნავს?

71, 3 - 4:

თქვეს: „ფრანგნი მოიპარავდეს, თუ სად დაეცათ დარია“.

მე ვიტყვი ზეცას წახულსა, ხმელეთზედ არსად არია.

და, აერთებს რა ენას სარწმუნოებრივ - მის-

ტიკურს და სამიჯნუროს, ეს მართლმადებელი მიმდევარი რუსთაველისა, აღიარებს

75, 3 - 4:

მას სიკვდილი ვერ მოკლევდა, ღვთის ტრფიალსა მინა - სათსა, ცოცხალია, გვირგვინი აქვს, ზის ხარისხსა კიბისასა.

ეს წამებულთა გვირგვინია. ხოლო მისი ნაშთი „ხმელეთზე არსად არის“-ო. ამ მტკიცებით თეიმურაზი ცხადად და გარკვეულად უარჰყოფს ქეთევანის წმ. ნაწილის ლეგენდას — უარჰყოფს ამ ნაწილის ე. ი. დედოფლის მიწიერი ნაშთის არსებობას.

„ფრანგნი მოიპარავდეს“-ო, გაკვრით ნათქვამია მოყვანილ ტაეპში (71,3). რომ ქეთევანის ნაშთი კათოლიკე ბერებს ჩაუვარდა ხელში, ეს ძველი და კარგად ცნობილი ამბავია. და განსაცვიფრებელიც ის არის, რომ თეიმურაზის პოემაში ეს ვერსიაც მოთავსებულია (ე. ი. რომ ნაშთი კათოლიკებს აღმოეჩინათ) შემდეგი სახით (72, 73):

ამა წმინდისა მუნ ზარი ყოველგან გაისმებოდა, ჯვარის მოსავთა ყოველთა ნაწილი ენატრებოდა, თორმეტ ათასი თუმანი ფრანგთაგან დაითვლებოდა, არავის მისცა შააბაზ, ცოდვითა აივსებოდა.

მალვით მონახეს ნაწილი, სად დაემალა ბარებსა, რა ცნეს, შეესმა ვერ შოვნა ნიმროზელთ მწიგნობარებსა, ლუსკუმაშიგან ჩაიდვეს, უკმევდეს მუშკამბარებსა, იგი კურნებდის სნეულთა, თუ ვინ მიუდგის კარებსა.

ეს ჩვეულებრივი ამბავია ნაწილის პოვნისა და მორწმუნეთა მოთხოვნილების დასაკმა-

ყოფილებლად, მისი გამოყენებისა სამღვდელ-ლოების მიერ. ეს ამბავი-კი იმას იგულისხმებს, რომ ნაშთი არსებობდა, რომ მას 12.000 თუმნად აფასებდენ, მაგრამ „არავის მისცა შააბაზ“, და მერე, ისევ ფრანგებმა „მალვით მონახეს“-ო. ეს ვერსია სრული წინააღმდეგია თეიმურაზისვე განცხადებისა

71,4:

მე ვიტყვი ზეცას წასულსა, ხმელეთზე არ-სად არია.

და ჩვენ აქვე დავრწმუნდებით, რომ საქმის ეს გაგება ე. ი. ნაშთის არ ყოფნა ანუ წამების შემდეგ დაკარგვა, უფრო კი სრული მოსპობა უსაფუძვლო არ იყო. მაგრამ ჯერ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ნაწილის აღმოჩენის ამბავი ემყარება უმთავრესად ფრანგ მისიონერთა ტრადიციას*)


მიხ. თამარაშვილისაგან მოსალოდნელი იყო ამ საკითხზე უფრო ზედმიწევნითი ცნობების გამოქვეყნება. თავის შრომაში „ისტორია კათოლიკობისა ქართველების შორის“

*) ამ „ნიმროზელთა“ უცნაურ სახელზე ბროსსეტიც ამბობდა, არ მესმის, რა არისო.

მართლაც, ეს ნიმროზელი მწიგნობარები (73,2) ვინ არიან? „ნიმროზ“, სპარსულიდან ნასესხები, მერიდიანია, და ნიმროზელი ანუ ნიმროზელი იგივეა რაც ფრანგულში „მერიდიონალ“; ნიშნავს სამხრეთელს. თეიმურაზს აქ მხედველობაში ალბათ ის აგვისტინიანები ჰყავს, მისი დედის ნაშთს ისპაჰანს რომ ინახავდენ, გადმოცემით. მათი ორდენის მთავარი ბინა მართლაც სამხრეთში — ინდოეთს — იყო, პორტუგალიის ცნობილ და მაშინ აყვავებულ ახალშენში, ქ. გოა-ს. თვით ის ანტონიო დე გუვეა, ესპანიის და პორტუგალიის მეფის ფილიპე მესამის ელჩი, რომელმაც 1602 წ. შაჰაბაზისაგან ნებართვა მიიღო ისპაჰანს მონასტერის დასაარსებლად, გოა-ს აგვისტინიანთა კოლლეგიის რექტორი ყოფილა.

(ტფილისი, 1902) იგი ამბობს, რომ „1628 წლის ივნისის 1-ს გორში მოვიდენ წმ. აგვისტინეს წესის მონაზონნი პატრი ამბროზიო და ძმა პეტრე და თან მოიტანეს ქეთევან დედოფლის ნაწილი“. ამისი მიზეზი ის იყო, რომ „როდესაც შეურიგდა სპარსეთის მეფეს (ე. ი. შაჰაბაზს თეიმურაზი) სთხოვა გაეგზავნა მისთვის ქეთევან დედოფლის გვამი, რომელიც დიდი პატივით ინახებოდა ისპაჰანს აგვისტინიანთ მონაზონების მონასტერში“-ო. ეს ცნობა თამარაშვილს ამოუღია ალბათ იმ მოხსენებითგან, რომელიც რომის პროპაგანდას უფრო გვიან, სახელდობრ 1640 წ. მიეღო სპარსეთში მყოფ აგვისტინიანთაგან. იქ სწორედ ეს პატრი ამბროზიოც იხსენიება, და ეს მოთხრობა თამარაშვილის სხვა, ფრანგულ წიგნში: „ქართული ეკლესია“ მოიპოვება (რომი, 1910. გვ. 482 - 5).

ქართულ ეკლესიასაც ხომ ეკუთვნის სიტყვა ამ საქმეზე და სად ვეძიოთ იგი, თუ არა ანტონი პირვ. კათოლიკოსის მარტირიკაში, სადაც აღწერილია ქეთევან დედოფლის და ლუარსაბ მეორე, ქართლის მეფის „ლუაწლნი და ვნებანი“? ამ მნიშვნელოვან და საინტერესო ნაწერში (ჩუბინაშვილის ქრესტომ. წ. 1. სპბ. 1846) იმ კითხვაზე, თუ რა იქმნა წამებული ქეთევანის გვამი, გამეორებულია, იტალიური ცნობების და აგრეთვე არაქელთავრიზელის მოთხრობის გამოყენებით, ის ლეგენდა, რომლითაც ნათლის სვეტს მიეწერება აღმოჩენის სასწაული (თეიმურაზით - კი „მალვით მონახს“-ო. დაკარგული ნაშთის მდებარეობა ამ საშუალებით გაიგეს „მორწმუნეთა ქრისტეს ღვთისა მიმართ დაღათუ მწუტალებელთა“ (ე. ი. კათოლიკეთა!). მაშასადამე, მისი აზრითაც, კათოლიკეთ აღმოეჩინათ ეს გვამი. და მერე? ანტონიც ამბობს, და ამას იზიარებენო „ყოველანი მომთხრობელნი ჩვენნი, სომეხნი და ლათინნი“, რომ ფრანგ ბერებს შეუთავაზებიათ თეიმურაზისათვის მისი დედის ნაშთის ნახევარი, რომე-



ლიც მან დიდი სასოებით მიიღო, და წაასვენეს ალავერდის ტაძარში — „იტყვიან ქეთეშე საღმრთოისა ტრაპეზისა“. ეს, იტყვიან, საკვირველია: ნუ თუ არ იცოდა ეს ანტონიმ დანამდვილებით?

მაგრამ, გარდა ამ გადმოცემისა, რომელიც „ფრანგულად“ ჩაითვლება და შეწყნარებულია ანტონი კათოლიკოსის მიერ, არსებობს სხვა, ასე ვსთქვათ, ქართულ - ბერძნული და მართლმადიდებელი გადმოცემა. ეს ორი ურთიერთის უარისმყოფელი და საწინააღმდეგო ტრადიცია ქეთევანის ჩამომავალმა სწავლულმა ბატონიშვილმა თეიმურაზ მკაფიოდ გამოსთქვა თავის 1832 წ. ნაწერში: **მოწმობა წმიდითა შ.ს ქეთევანისა, კახთ დედოფლისა.** თავისი წინაპარი და სეხნია პოეტის ნათქვამს (იხ. ზემოთ) აზვიადებს და ამბობს, რომ „ნიმროზელ“ მღვდლებს ძალიან სურდათ ქეთევანის გვამი ეპოვნათ, შაჰაბაზს 220.000 მანეთს (!) უპირებდენ, ხოლო მან არ მოინდომაო, „არამედ მღვდელთა მათ კათოლიკეთა ფრიად მკურვალეთა ქრისტეს სიყვარულითა წარიპარეს გვამი წმიდისა მის იღუმალ და შემურეს იგი მრავლისა სურნელებითა და წარმოიღეს მუნით დაფარულად“... მერე - კი, ემყარება რა ბესარიონ კათოლიკოსის და გიორგი მღვდელ - მონაზონის ნაწერებს, სულ სხვას ბრძანებს: თურმე ქეთევან დედოფალი წამების შემდგომ დაუმარხავთ იქვე, „სადაც სიციოცხლესა შინა თვსსა სადგურებდა, მუნ შიგან სალოცველსა სახლსა მისსა“, (ე. ი. იქვე შირაზში და არა აგვისტინიანთა მონასტერში, ისპაჰანს); საქართველოში მოტანილი ნაწილი თეიმურაზ მეფემ დიდი ზეიმით მიწას მიაბარა ალავერდს; „შეკრიბნა ზაქარია კათალიკოსი, მღვდელთ მთავარი და ყნი სამღვდელონი ს~დ საქართველომსანი“ და სხ.

მაგრამ ეს მერმინდელი მწერლები მწიგნობრულად ადგენდენ მათ მოთხრობებს; ჩვენთვის კი უფრო მნიშვნელოვანია თანამედროვეთა მოწმობანი. არსებობს ერთი, ვგონებ,

უყურადღებოდ დარჩენილი, ნაწერი, რომელიც შიაც „ქართული“ გადმოცემა უფრო სრულის სახითაა შენახული, და ალბათ მისი გამოცხილია იმ ქართულ ნაწერებშიაც მოცემული, ბატონიშვილი თეიმურაზ რომ ასახელებს. ეს პატარა წიგნაკია 1632 წ. დაბეჭდილი (არა სჩანს, სად; ალბად სადმე იტალიაში); შეიცავს ბერძნულად დაწერილ ეპისტოლეს მისი ლათინური თარგმანით, და სათაურად აქვს: **ქეთევან, ქართველთა მეფის თეიმურაზის დედის მარტვილობისა და იეზუიტთა მიერ ამის გამო ჩადენილ სიცრუისათვის (იმპოსტურა).** ეპისტოლეს დამწერი ტრაპიზონში მყოფი გრიგოლ ხუცეს - მონაზონია და თარიღად აქვს 16 მაისი 1626 წ. სწერს სოფრონის მიმართ პროტო - სინკელისა, კონსტანტინოპოლს. მოკლედ იხსენიება კახეთის 1614 წ. მოხრება, მოსახლეობის და კერძოდ ქეთევანის ტყვედ წაყვანა, დიდებულთა ამოწყვეტა და დედოფლის წამებაც. მისმა ერთმა მოსამსახურე ქალმა **მოახლამ** (=მოახლე, აქ პიროვნების სახელად ქცეული) მოინდომა წამებულის ნაშთის შენახვა, იპოვა კიდევ და მისი ახალი ბატონის, ერთი დიდებულის სახლში ინახავდაო. იეზუიტებმაც ეძიეს ეს გვამი და ველარ იპოვეს რა, რომელიმე ცხედარს თავი მოაშორეს და მერე თეიმურაზს მიუტანეს, ქეთევანის ნაწილიაო. იქ ზეიმით და სიხარულით მიუღიათ და ალავერდელი წმ. გიორგის ტაძარში გაასვენეს. დაიწყო ამ ნაწილის თაყვანისცემა, და იეზუიტებიც მეტად მოხერხებულად იქცეოდენ და სხ. ეს მალე მთელმა საქართველომ გაიგო და ამ ამბავმა მოახლასაც მიაღწია სპარსეთში. ამ მანდილოსანმა მაშინვე შეატყობინა, თეიმურაზისათვის, ქეთევანის ნაშთი აქა მაქვს შენახული. მერე როცა ზავი ჩამოვარდა თეიმურაზსა და სპარსეთს შორის, ქართველმა ელჩებმა სპარსეთითგან მრავალი ქართველი სამშობლოში დაიბრუნეს, მათ შორის, „მოახლაც“, და ქეთევანის ნაშთიც მაშინ მოიტანეს, გაშინჯეს და ნამდ-

ვილად იცნეს. მალე ორმა სპარსეთითგან ჩამოსულ ქართველმა თავიანთი მოწმობით იეზუიტები საბოლოოდ შეარცხვინა. მეტად განრისხებული თეიმურაზ მაშინ მოურავთან (გიორგი სააკაძესთან) შეებმას მოელოდა, ამისათვის ყალბის მქნელთა დასასჯელად არ მოეცალაო, მაგრამ მან აღკრძალა ქეთევანის ნაწილის თაყვანისცემა: ალავერდში მარტო წმ. გიორგი უნდა იყოს თაყვანისცემულიო; ქეთევანი ხომ წმიდანიაო, და ისედაც „ყველა წმიდათა“ რიცხვში ჩაითვლებაო. ეს ხომ მის მიერ თქმულს: — „ხმელეთზე არსად არია“ - საფკარგად უდგება. საერთოდ, თეიმურაზის ამგვარი სკეპტიციზმი მის პოემაშიაც გამოსჰვივის).

ეს „ბერძნულ - ქართული“ მოთხრობა იეზუიტების არა პატივ - საცემ ხერხს ამჟღავნებს (რაოდენი საფუძვლიანობით, სხვა საკითხია), მაგრამ არც აგვისტინიან ძმათა ვერსიას ეთანხმება (იხ. ზემოთ). პირიქით, მისგან არსებითად განსხვავდება. რომელია მათში უფრო ძველი? ორივე თითქმის ერთ დროს ჩნდება. პირველს 1626 წლის ეპისტოლეში ვკითხულობთ. მეორე 1640 წლის ერთს მოსენებას უკავშირებენ, მაგრამ უფრო ადრინდელია. ეს აგვისტინიანთა ამბავი რომში 1627 წ. უკვე ცნობილი იყო იმ მეტად მნიშვნელოვან „საქართველოს შესახებ ინფორმაციითგან“, რომელიც პ. დელლა ვალლემ სპარსეთიდგან დაბრუნებისას პაპი ურბანო მერვეს წარუდგინა. დედოფლის წამება მან პირველად ქ. ბასორაში გაიგო იმ პატივი გრეგორიო ორსინისაგან, რომელსაც ამას წინად საგანგებო ვრცელი (ვგონებ, ჯერ უცნობი) მოხსენება წამებაზე რომში გამოეგზავნაო. ვალლეს რწმენით, საქართველოში კათოლიკური პროპაგანდისათვის ხელსაყრელი იქნება სწორედ იმ ქართველების თანაგრძნობა, ვინც წამებულ დედოფალთან ყოფილან, შირაზში დარჩენ და იციან, რომ მის გვამს ჩვენი აგვისტინიანი მამანი ინახავენო. მაშასადა-

მე, არსებითად კათოლიკეთა მიერ „ნაწილთა აღმოჩენას“ თავითგანვე რალაცა კავშირი უნდა ჰქონოდა პროპაგანდის საქმეს და მის მიზნებთან საქართველოში, კერძოდ-კი კახეთში. ამ საქმეში, იმავე პ. დელლა ვალლეს აზრით, დახმარებაც მოსალოდნელი იყო ალავერდელი მიტროპოლიტის ნათესავთა და სხვა ქართველ თავადთაგანო. (ამ ალავერდელის კათოლიკურ ტენდენციაზე იეზუიტი ლ. გრანჟეს ერთ მოხსენებაში გვაქვს ცნობა. მას თეიმურაზთან და ალავერდელთან კონტაქტი უკვე 1615 წ. ჰქონდა სამეგრელოში. ეს ვალლემაც იცოდა. ბერძნულ წერილში იეზუიტების ხსენება არც ისეა უმიზეზო და უსაფუძვლო).

ყოველ შემთხვევაში, 1635 წ. აგვისტინიანთა ამბავს თვით თეიმურაზი ოფიციალურად ადასტურებს რომის პაპის მიმართ ერთ თავის ლათინურ წერილში, და მის დასტურსაც ალბათ თავისი, უფრო დიპლომატიური აზრი და მიზეზი ჰქონდა.

ამ ნაშთის რთულ და ზღაპრულ ისტორიებს თავი რომ დავანებოთ, ბერძნულ პამფლეტს ისედაც ფასი აქვს. მასში ბავრი საინტერესო წვრილმანია; საქმისა და საქართველოს ცოდნით არის დაწერილი, რასაც აჩვენებენ ისეთი სიტყვები ბერძნულში, როგორც თეიმურაზ, ქეთევან (ქართულადაც ასე იცოდენ), მოახლე, ალავერდელი, კახეთი, გრემი, მოურავი. ავტორი ალავერდში ნამყოფი კაცია; უმთავრესად მნიშვნელოვანია მისი პოლიტიკური ცნობები.

ეს წერილი იმ დროინდელ დიდ ამბავთა ცნობილ მსვლელობას კარგად უდგება. 1624 წ. სექტემბერში ქეთევანის წამება ქ. შირაზს; შვიდი თვის შემდეგ ნორიო - მარტყოფის სისხლიანი და ძლევა - მოსილი აჯანყება, დიდი მოურავის საქმე, თერთმეტი სპარსეთის თავი კაცის ამოწყვეტით — 1625 წ. მარტში. იმავე წლის ივნისში მარაბდის მძიმე, მაგრამ სახელოვანი დამარცხება. მერმე ქართველ მოკავშირეთა შორის განხეთქილება, რთული



ქიშპობა, თეიმურაზის სპარსეთთან დაზავება და ბოლოს — არავისათვის სახელოვან ბაზალეთის ომში გ. სააკაძის დამარცხება თეიმურაზისაგან — ეს 1626 წ., და სწორედ ამ შეტაკების მოლოდინში, 26 მაისს დაწერილია გრიგოლ ხუცეს მონაზონის ეპისტოლე, რომლის

მლის ნამდვილ სულის ჩამდგმელად, ვგონებ, ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ნიკიფორე ირბახი, ჩოლოყაშვილი უნდა ყოფილიყო 1627 წ. რომში ჩამოსული.

ზ. ავალიშვილი

(შემდეგი იქნება)

წარსულის გაკვეთილები

1917 წლის ბოლოს და 1918 წ. დასაწყისში კავკასიის ფრონტი დაიშალა. სარდლობა უძლური აღმოჩნდა ჯარი თავ - თავის პოზიციებზე დაეკავებინა. 1917 წლის რუსეთის რევოლუციის მიერ გადმოტყუორცილმა ლოზუნგებმა ჯარისკაცებში დიდი დეზორგანიზაცია შეიტანეს და ყველა თოფით ხელში სახლისაკენ მიეშურებოდა, რათა ადრე შესულიყო მარქსის სამოთხეში და ეგემა რევოლუციის მონაპოვარი.

კავკასიის ფრონტი რუსეთის ჯარებისაგან 1918 წლის დასაწყისში თითქმის გაიწმინდა. ოსმალეთის ჯარი სწრაფად იჭერდა რუსეთის მიერ მიტოვებულ ადგილებს. ვეხიბ - ფაშის სარდლობით ოსმალეთის ჯარებმა დაიჭირეს მთელი ერზურუმის ოლქი, ხოლო ყარსის ოლქში კი აწყობდნენ ფრთხილად შექმნილ ვიწარდან აქ კიდევ იყო გამაგრებული ბერძნებისა და სომხების ეგრედ წოდებული ნაციონალური პოლკები. 1917 წლის რევოლუციამ მთელი რუსეთი არივ - დარია და გასაკვირი აქ, უნდა იყოს, რომ ამ არივ - დარევამ ყარსის ოლქშიც ახლა თავი, უფრო კი თურქთა ჯარების პოლიტიკებისას. ზემოხსენებული ნაციონალური, ბერძნების და სომხების პოლკები ადგილობრივმა თურქების და ქურთების პარტიზანებმა მოსპეს. პერიფერიებთან, როგორც იდის და ოლთისის სამხედრო ოლქები იყო, არტაანის, აღზევანის და ყარსის ოლქებთან ყარსს ყოველივე კავშირი შეუწყ-

და. თითოეულ დასახელებულ ოლქში გამეფებული იყო ადგილობრივი პარტიზანების ხელისუფლება. იდის, ოლთისის და არტაანის ოლქებში იმ დროს ჩარჩენილი იყო საგრძნობი რაოდენობა რუსების და ქართველებისა, რომლებიც ამ ადგილებში სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში მსახურობდნენ. მეც მათ რიცხვში ვიყავი, ჩარჩენილი ქალაქ ოლთისში, სადაც მე სამხედრო ოლქის უფროსი ვიყავი. აღსანიშნავია იშვიათი ძმური მოპყრობა ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ რუსებისა და ქართველებისადმი. ვეხიბ - ფაშას მიერ ყარსის ყველა ოლქებში საგანგებო ბრძანება იყო დაგზავნილი, რომლითაც იგი ავალბდა ადგილობრივ დროებით ხელისუფლებას ყოველივე დახმარება აღმოეჩინათ ჩარჩენილ რუს - ქართველთათვის. ასეთი ჩარჩენილი ქართველების და რუსების რაოდენობა სამივე ოლქში ორას კაცს უდრიდა. ოსმალების ჯარები ყარსის ოლქში პირველად ოლთისში შემოვიდნენ, მურსალ - ფაშის მეთაურობით (ეს ის მურსალ - ფაშაა, რომელიც თურქების ჯარებით ბაქოში შევიდა). იქ მყოფ რუსებს და ქართველებს მურსალ - ფაშამ დიდი დახმარება აღმოუჩინა, სამი დღის განმავლობაში მთელ კოლონიას მასპინძლობდა თავის ოფიცრებთან ერთად, გვიმართავდნენ წარმოდგენებს და სხვა.

ქართველთა და რუსთა კოლონია ეშელონებად იქმნა დაყოფილი და გამგზავრებული

ართვინის გზით ბათუმს და არტაანის გზით ახალციხისაკენ. ბათუმის გზა ამოიჩნია მთელმა რუსობამ გენერალ მაკალინსკის (ილის სამხედრო ოლქის უფროსი) მეთაურობით, — ქართველებმა ვარჩიეთ ახალციხის გზა. რუსების ეშელონი დაუბრკოლებლივ ჩავიდა ბათუმში და იქიდან გემებით წავიდა ყველა თავის სამშობლოში. ქართველების ეშელონი ოლთისიდან დაიძრა არტაანისაკენ და არტაანიდან ხანიორის უღელტეხილით ჩავედით ჯაყ - სუ - ში (იმ დროს ახალციხის სარაიონოს შეადგენდა, დღეს კი, არტაანის ოლქის ოსმალეთის ხელში გადასვლის შემდეგ, ჯაყ - სუ - დილურის რაიონიც არტაანის ოლქს მიაკერეს და დილურის მაზრად გამოაცხადეს; სამაზრო ქალაქი დილურია, რომელიც 18 კილომეტრით დაშორებულია ახალციხეზე).

ჯაყ - სუმდის ჩვენი მოგზაურობა იყო სანატრელი, მაგრამ აქ არსებითად შეიცვალა; 18 კომლი არტაანის გლეხობისა და დანარჩენი მოხელეები იმავე ღამეს თავის ბინებზე გაძარცვეს. ამის მეთაური გახლდათ ქართველი მუსულმანი ასლან - ბეგ ხიმშიაშვილი, რომელმაც მეორე დღეს ყველა ქართველი ოსმალეთის ტყვედ გამოგვაცხადა. ჩემს შეკითხვაზე, თუ რითაა გამოწვეული ასეთი ზომები ჩვენ მიმართ, ასლან - ბეგმა მიპასუხა, რომ ახალციხე - აბასთუმანმა ფრონტი გახსნა ჩვენს (ოსმალეთის) წინააღმდეგ და ზარბაზნებს გვესვრიანო და არ გვაძლევენ საშუალებას, რომ ოსმალეთის ჯარები ახალციხეში შევიდნენო. ამ განმარტების შემდეგ ჩვენთვის აშკარა იყო, რომ უპატრონოდ დარჩენილ საქართველოს და მთელ კავკასიასაც ოსმალეთი ეპატრონებოდა. რაკი ჩვენთვის აკრძალული იყო ახალციხეში შესვლა, ჩვენ, როგორც ყტვეები, დაბა ადიგვენში (ახალციხის მაზრა) ფეხით გავვაგზავრეს.

ადიგვენში იდგა თურქების ჯარის პატარა ნაწილი, იუზ - ბაში ხალილ - ბეის მეთაურობით, რომლის ამოცანა იყო თავისი პატარა ნა-

წილით და ადგილობრივი ქართველი მუსულმანების დახმარებით აბასთუმანში შესულიყო. აბასთუმანს, ისე როგორც ახალციხეს ქართველების საგრძნობი შეიარაღებული ძალები იცავდნენ. ხალილ - ბეიმ ყველა ქართველი ტყვე დაგვათვალა, მე და პოლკოვნიკი ჩერქეზიშვილი საკომენდანტოში მიგვიწვია, გაგვიმასპინძლდა ჩვეულებრივი თურქული ყავით და დაგვიწყო დაკითხვა; ხალილ - ბეი აღელდა ზემოდასახელებულ ასლან - ბეგ ხიმშიაშვილის საქციელით და ჩვენი თანადასწრებით ოთხი ასკერი გაგზავნა ასლან - ბეგის დასატუსაღებლად. არ ვიცი, მოხუცი ყაჩაღი დაატუსაღეს თუ არა, მაგრამ ყველა ის, რაც ქართველ „ტყვეებს“ მან ჩამოართვა, დაბრუნებული იყო უკლებლად. ადიგვენის კომენდანტმა ზომები მიიღო, რომ ჩვენ გოდერძის უღელტეხილით ხულო - ქედას გზით ბათუმში გავემგზავრებინეთ.

ხალილ - ბეის ჩვენთვის არ დაუმაღავს ის, რომ ოსმალეთის სარდლობას საქართველოსი და მთელი კავკასიის ოკუპაციის განზრახვა ჰქონდა, გამოსთქვა დიდი გაკვირება იმის შესახებ, რომ ახალციხე - აბასთუმანმა ოსმალეთის ჯარს, პურ-მარილით შეხვედრის მაგიერ, ომი გამოუცხადა იმ დროს, როდესაც ოსმალეები ქართველებისადმი მეგობრულად განწყობილნი არიან; საქართველოს საშუალებით მათ სურთ შეიერთონ თავიანთი მოძმე ერები ადერბეიჯან - ჩრდილო კავკასიისაო.

ასეთი მწარე შთაბეჭდილებით, ცივ მარტისთვის დღეებში გოდერძის თოვლ-ყინულიანი უღელტეხილი გადავლახეთ და, არაქათ გამოცლილები, ბათუმს მივუახლოვდით. არტაანის ყაზარმებში ერთი ღამე გავათიეთ და როდესაც გამოარკვიეს, რომ ჩვენ ვიყავით ტყვეები, რომელთაც იარაღით ხელში არ უბრძოლიათ ოსმალეთის წინააღმდეგ, მოგვცეს ნებართვა ბათუმში შევსულიყავით.

აქ ყველა სამხედრო პირი აღრიცხვაზე აგვიყვანეს და კვირაში ორჯერ საკომენდანტო-

ბი 1918 წლის დასაწყისიდან ორ ჯგუფად გაიყვნენ: ერთი მათგანი მომხრე იყო, რომ ახალციხე ოსმალეთის მფლობელობაში გადასულიყო და ამითი თავისი სიმდიდრე - ადგილ - მამული შეენარჩუნებინათ და გამარჯვებისას ოსმალეთის გულიც მოეგოთ. მეორე ჯგუფში. შედარებით პირველთან, უფრო ღარიბი ბეგები იყვნენ. ამ უკანასკნელი ბეგების მეთაურად იყო ბაღში - ბეგ მაჩაბელი, რომელიც ახალციხეში ხე - ტყით ვაჭრობდა. ახალციხის აჯანყების დროს ჟორდანიას მთავრობის ნებართვით მან ცხენოსანი რაზმი შეადგინა; როგორც რაზმის უფროსს მთავრობამ მას უბოძა სათანადო სამხედრო ხარისხი; მის რაზმში სამხედრო სამინისტრომ მიავლინა ქართველი ცხენოსანი ოფიცრები: ბაღში - ბეგს თანაშემწედ დაუნიშნეს პოლკოვნიკი გრ. მგალობლიშვილი, რომელიც დღეს ემიგრაციაში იმყოფება, ხოლო რაზმში ოფიცრებად ვლ. ბერიძე, შ. მგალობლიშვილი (ორივე დახვრეტილია ბოლშევიკების მიერ საქართველოში) და სხვანი. ბაღში - ბეგ მაჩაბელი, როგორც სისხლით ნამდვილი ქართველი, ახალციხე - არტაანში ბ. ჟორდანიას მთავრობის „ქართულ“ პოლიტიკას აწარმოებდა. ახალციხის აჯანყების დროსაც მან სრული ერთგულება გამოიჩინა და აჯანყების მეთაურს სერვერ - ბეგ - ათაბეგს ებრძოდა (საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პოლკოვნიკი ბაღში - ბეგ მაჩაბელი ბოლშევიკებმა დახვრიტეს).

ახალციხის აჯანყების ჩასაქრობად ჭკვიან მთავრობის ხელში და თავის დროზედ საკმარისი იქნებოდა ერთი ათასეული, მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ მას მოანდომა რამდენიმე სარდალი; ღენერალი ბ. მაყაშვილი, როგორც-კი აჯანყების მდგომარეობას გაეცნო, მაშინვე გადააყენეს, რათა მას, როგორც ღენერალ მაყაშვილს, გამარჯვება არა რგებოდა. მის შემცვლელ ღენ. მაზნიაშვილს მთავრობის

პოლიტიკით გახლებული მოპირდაპირე უფრო მედგრად შესვდა. ღენ. მაზნიაშვილი იძულებული იყო ახალციხე დაეტოვებინა და აწყურვიდან ბორჯომში დაეხია, იმ მიზნით, რომ გაორკეცებული ძალებით კვლავ დაუბრუნდებოდა ახალციხეს და აჯანყებას ჩააქრობდა, მაგრამ ღენ. მაზნიაშვილიც გამოსცვალეს. როგორც ცნობილია, ახალციხის აჯანყება ღენ. კვინიტაძემ ჩააქრო. აჯანყებულების მეთაურმა სერვერ - ბეგ ათაბეგმა, თავისი რამდენიმე ასი შეიარაღებულით და ერთი ქანგიანი ზარბაზნით არტაანისაკენ დაიხია, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ისინი არტაანიდანაც განდევნა. ახალციხის მაზრის მცხოვრებნი ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ, მაგრამ ინგლისის სარდლობამ ღენ. კვინიტაძის ჯარები არტაანში დიდ ხანს არ გააჩერა, „მოკავშირებმა“ მხოლოდ იმისი ნება დართეს, რომ საქართველოს არტაანში ნახევარი ასეული ჰყოლოდა. ასეთი ნახევარ ასეული ასპინძის ათასეულმა გამოჰყო კაპიტან ა. კვიციანიშვილის მეთაურობით, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ, როცა არტაანის ოლქში ჩვენი ხელისუფლება განმტკიცდა, კაპიტ. დ. ბაგრატიონ - მუხრან ბატონიშვილმა შესცვალა. შემდეგ, როგორც არტაანის და ართვინის, ისე ბათუმის ოლქები, ოლთისის ოლქის გამოკლებით, საქართველოს სრულ მფლობელობაში გადმოვიდა ინგლისის წარმომადგენლობის წყალობით.

ოლთისის ციხე - სიმაგრე ავანპოსტია მთელი სამხრეთ საქართველოსი. ის პირდაპირ უცქერის იალბუჯს. არტაანის ციხე - სიმაგრე უპირდაპირდება ყაზბეგს და იცავს მესხეთ - ჯავახეთს და მთლად აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ყარსი იცავს სომხეთს და იმავე დროს ნოეს კიდობნის „მტვირთველის“ დარაჯია.



ემიგრაციაში.


თავად იოსებ დადიანის სამახსოვროდ ქართველ ახალშენის საგანგებო ყრილობაში ქ. ბერლინში, ახალშენის სახელმძღვანელო ორგანოს დავალებით, უხუცესმა წევრმა გრ. დიასამიძემ განსვენებულ თავ. იოსებ დადიანის მოსაგონრად შემდეგი სიტყვა წარმოთქვა: „პარიზში გარდაიცვალა ერთი გამოჩენილი ქართველ მამულიშვილთაგანი, სამადნო ინჟენერი თავ. იოსებ იულონის ძე დადიანი — მოღვაწე, რომლის სახელით სრულიად შეუძლია იამაყოს საქართველომ. გახვეწილ კეთილშობილ ტრადიციულ თვისებათა მქონებელი, — იმ თვისებათა, რომელიც მოსდგამთ გმირულ დიდებით განთქმულ ქვეყნის შვილებს. განსვენებული წმინდა წარუხოცველი განსახიერება იყო ქართველი რაინდისა, რომელიც განუსაზღვრელი თავგამოდებით ემსახურება თავის ბედკრულ სამშობლოს საერთო ნაციონალურ საქმეს. მსხვერპლად მოჰქონდა არა მარტო საკუთარი ნივთიერი შეძლება, ის სწირავდა თავის თავსაც, თუ ერის მდგომარეობა მოითხოვდა გაბედულ გამოსვლას მამულიშვილისას, რაც სასტიკად იდევნებოდა სამშობლო ქვეყნისათვის უცხო უღმობელ ხელისუფლების მიერ. მხოლოდ მისი ენერგიული დახმარებით შესაძლებელი გახდა საზღვარგარედ ბეჭდვითი ორგანოს „საქართველოს“ დაარსება, რომელმაც მრავალწლოვანი დუმილი დაარღვია და ხმა აამალა სამშობლოს განმათავისუფლებელ საქმისათვის. დადიანის სახელი გვერდით სდგას უდროოდ დაკარგულ მისი მეგობრის, აგრეთვე სამადნო ინჟენერ გიორგი დეკანოზიშვილის სახელთან. ამ უკანასკნელის ნაციონალ - ორგანიზატორ მოღვაწის საქმიანობას ნაკლებად იცნობს ჩვენი საზოგადოება და ჯეროვანად ჯერ კიდევ არ არ ფასებულის. ეს ორი კაცი რომ არ ყოფილი-

ყო, ნივთიერი საშუალება ვერ შეიკრიბებოდა და ვერავინ ვიხილავდით შესანიშნავს ნაციონალურ საქმისათვის მლაღდებელ ორგანოს საზღვარგარედ. ასეთი თავდადებული მოსაქმენი გვეჭირდება ახლაც; როცა ასე საგრძნობლად მცირეა ღირსეულ მუშაკთა და ხელმძღვანელთა რიცხვი.

იოსებ დადიანმა უმეტესი ხანი ცხოვრებისა სპეციალობის გამოისობით გაატარა ნავთის სამეფოს შუაგულში — ქ. ბაქოში — ახლანდელ მოძმე აზერბაიჯანის დედაქალაქში, სადაც ქეშმარიტად ცხოვრება სდულდა და გადმოდიოდა, სადაც დიდი შეხლა - შემოხლა იყო გაჩენილი სხვადასხვა ხალხის მრავალფეროვან ელემენტთა მრავალნაირ წადილთა და მისწრაფებათა გამო. და აი სწორედ აქ, სადაცობოქრობდა მოუსვენარი ცხოვრება და არ ცხრებოდა მუდმივი ბრძოლა — დიალ! — სწორედ აქ, ადგილობრივ საქალაქო თვითმართველობის ხმოსანთა არჩევნებზე პირველ კანდიდატად გადიოდა ჩვენი თანამემამულე თავადი იოსებ დადიანი. ასეთს იშვიათ შეფასებას მოღვაწის პიროვნების და საქმიანობის არ შეუძლია არ მოიყვანოს ალტაცებაში თანამოძმენი. და აი ხმა და სახელი იოსებ დადიანისა შორს გაისმოდა.

მივუძღვნათ საკუთვნო განსვენებულს და მუხლი მოვიდრიკოთ უცხო მიწაწყალზე ახალ გათხრილ ქართულ სამარეს წინაშე. დაე საქმიანობა კაცური კაცისა, რომელიც ასე იტანჯებოდა სამშობლოს უბედურებით, გახდეს ჩვენ ქართველებისათვის მისაბაძ მაგალითად.

მოვახსენოთ აგრეთვე დაუვიწყარ თანამემამულის ღრმად პატივცემულ ოჯახს ჩვენი უსაზღვრო გულისწუხილი ჩვენი საერთო ფასდაუდებელ დანაკარგის გამო. მისგან დაობლებული ოჯახი, მისებრ განთქმული გარეგან და სულიერ სიშვენიით იყო მუდამ ყველაზე პატივცემული, ყვე-



ქართული
ლიბრერი

ლაზე უსაყვარლესი არა მარტო საჩვენოსა, არამედ მთელ კავკასიაში. ესევე შერჩა ცხოვრების მძიმე პირობათა მიუხედავათ ლტოლვილობაშიაც.

შევვედროთ უზენაესს, რათა მიენიჭოს ამ ოჯახს გამძლეობა დაიცვას ძველებურად გამშვენებული მისი მეთაურის მიერ საკუთარი კერა, არ დაახშოს სახმილი განთავისუფლებულ ბედნიერ საქართველოში ხელახლა ასაგუზგუზებლად...

პარტიის იუბილე

პარტიების იუბილე ქართულ ემიგრაციაში მენშევიკებმა შემოიღეს. მართალია, მენშევიკური იუბილე განსვენებულის პანაშვიდს უფრო ჰგავდა ვიდრე გამარჯვებული პარტიის სამადლობელ პარაკლისს, მაგრამ მათ მეტი არაფერი დარჩენიათ, რომ თავისი პარტიის პანაშვიდები იხადონ. მაგრამ სულ სხვა უნდა ყოფილიყო ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის იუბილე, თუკი მთელი პარტია მართლა დაადგენდა, რომ იუბილე საჭირო იყო ასეთ პირობებში სათქმელიც ბევრი იქნებოდა და გასაკეთებელიც.

მაგრამ, სამწუხაროდ, იუბილე პარტიის მხოლოდ ერთმა „სამშობლოს“ ჯგუფმა მოაწყო და უფერულიც ამიტომ გამოვიდა. ემიგრაციაში მყოფმა ეროვნულ - დემოკრატიულმა პარტიამ ხელიდან გაუშვა შემთხვევა, რომ თუ სხვას ვერას მიაღწევდა, გაერთიანებულიყო მაინც.

აღსანიშნავია, რომ იუბილეზედ არ გამოცხადდა თვით ბ. ექვ. თაყაიშვილი, რომელიც, იუბილეს ინიციატორთა განცხადებით, საზეიმო ყრილობის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდის ყოყმანით დათანხმდა თავმჯდომარეობას ბ. ვახ. ლამბაშიძეც. დიდი როლი ჰქონდა განკუთვნილი იუბილეზედ აგრეთვე ბ. ვლ. ემუხვარსაც, რომელსაც ბ. სპ. კედია უნდა მოეყვანა კრებაზედ. მაგრამ ბ. კედია კრებაზედ არ გამოცხადდა. არ დასწრებიან იუბილეს აგრეთვე ბ.ბ. ჟუ-

რული, გ. გვაზავა, ივ. ზურაბიშვილი, რევაზ გაბაშვილი და დავით ვაჩნაძე, თუმცა ყველა ესენი პარიზში ცხოვრობენ და პარტიის დამაარებელად ითვლებიან.

საიუბილეო მოხსენება წაიკითხა ბ. ალ. ასათიანმა, მაგრამ ზემო დასახელებულ და სხვა მიზეზთა გამო, როგორც გადმოგვცემენ, გუნებაზედ ვერც ის იყო.

ჰერზე დღეს პარტიის წევრთა კრება შესდგა, მაგრამ პარტიის ის წევრნი, რომლებიც „სამშობლოს“ ჯგუფს არ ეკუთვნიან, კრებიდან წინასწარ იყვნენ დათხოვნილი. ამბობენ, ვითომც ყველაზედ ცხარი კამათი კრებაზედ ჯგუფის „საერთო ფრონტში“ ყოფნის საკითხმა გამოიწვია. დამსწრეთა უმრავლესობა მოითხოვდა, რომ ბ. ალ. ასათიანს ჟორდანიასთან თანამშრომლობაზედ ხელი აეღო. კამათი მაინც იმაზედ გათავდა, რომ ფრონტიდან გამოსვლის დროს „შერჩევის“ საკითხის გადაჭრა კრებამ თვით ბ. ალ. ასათიანს მიანდო.

ასე გადისროლეს კონგრესისტებმა ორაგული წყალში!..

„სამშობლო“

გამოვიდა „სამშობლოს“ საიუბილეო ნომერიც. ჟურნალს სრულიად სამართლიანად, წინ ილია ჭავჭავაძის სურათი უძღვის, რომელიც დღეს, საქართველოში, თვით არის დიდი იუბილიარი. ბევრია ჟურნალში აგრეთვე სამშობლოსათვის ნაღვაწ, ნაომარ და აღსრულებულ პირთა სხვა სურათებიც. მოყვანილია მათი სახელები და ნაამბობია პარტიის წარმოშობისა და მოღვაწეობის ისტორია, რა თქმა უნდა, არა სრული და ზოგჯერაც მცდარი. ყოველივე ეს მაინც დიდათ საგულისხმოა და მიუხედავათ შეცდომებისა გასაგებიც. უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებს მხოლოდ ის გარემოება, რომ პარტიის ამ „ისტორიაში“ არც ერთი ცოცხალი ეროვნულ - დემოკრატი არ არის დასახელებული.

ილიაზედ და სხვა ძველ დიდ მოღვაწეებზედ წერა, თავისთავად საგულისხმოა და სა-

ვალდებულ, ამ ნაკლს მაინც ვერ ანაზღაურებს. რაც უნდა იყოს, ილია მაინც ილია არის — ქართველი ერის დიდი მეთაური — და არა 1917 წელს დაარსებულ პარტიის ლიდერი. არც ის არის მაინცა და მაინც ძალიან კარგი, რომ ზოგი ეროვნულ - დემოკრატი ლიდერი ილიაზედ სახრჩობელასავით არის ჩამოკონწილებული. მარტოდენ „უფალო, უფალოს“ ძახილი და ჟორდანიათ ფრონტში დგომა, სასუფეველში შესვლას და ჭავჭავაძისტობას არა ნიშნავს!... დრო არის, რომ ეს ყველამ შეიგნოს.

ავვისტოს აჯანყების დღე

გასულ 30 ავისტოს ქართულმა კალონიამ პარიზში ავისტოს ტრადიციული წლის თავი გამართა. კრებას საზოგადოება და განსაკუთრებით ავისტოს აჯანყების მონაწილენი, რომლებიც პარიზში მრავლად არიან, ფრიად ნაკლებად დაესწრნენ. კრება იმდენად უფერული იყო, რომ, როგორც გვიამბობენ, საზოგადოება უფრო გადიოდა კრებიდგან, ვიდრე შემოდოდა კრებაზედ. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, პარიზში არ ყოფნის გამო, კრებას ვერ დაესწრო, ქართული კალონიის თავმჯდომარე ბ. ვახ. ლამბაშიძეც. წინასწარ მიღებულ გეგმითაც, დღის შესაფერი სიტყვა მხოლოდ ბ. კ. ჭავთარაძეს უნდა ეთქვა. მოკლედ რომ ითქვას, ბურთი და მოედანი მენშევიკებს დარჩათ. ეს უხერხულობა კრების ინიციატორებმაც იგრძნეს და კრება რომ მთლად უფერული არ გამოსულიყო, სიტყვის წარმოთქმა სთხოვეს ბ. ალ. ასათიანსაც. უკანასკნელი ფრიად მოკლე სიტყვით დაკმაყოფილდა. სამაგიეროდ ბევრი ილაპარაკა ვინმე ბლიაძემ, რომელიც დღეს მენშევიკების ამომავალ ვარსკვლავად ითვლება.

როგორც გადმოგვცემენ, ბ. ბლიაძე ჯერ საქართველოში აპირებდა დაბრუნებას, მაგრამ ბოლშევიკებმა მისი წაყვანა უსარგებლოდ მიიჩნიეს. მაშინ ბ. ბლიაძე მენშევიკებმა აიყვა-

ნეს და თავის ხარჯით მარქსიზმის საპროპაგანდო კურსებზედ გაგზავნეს ბრიუსელში. ეს „კურსები“ რომ ბლიაძეს ჩინებულად შეუსრულებია, თუნდაც იქიდგანაც სჩანს, რომ თავისი ავისტოს „ალოკუსიონი“ ბ. ბლიაძემ ასე დაამთავრა: „გაუმარჯოს შოთა რუსთაველს და ნოე ჟორდანია“-ო!

ვალის გადახდაც ამასა ჰქვია... ჰი, თუ ჰამს ბ. ბლიაძე დახალულ ნუშს?!...

რუსეთის წითელი არმია და „ქართული ეროვნული ცენტრი“.

ბოლშევიკები მოხერხებული ხალხია. ბელურებს ნამცეცებით იჭერენ. ასეთი „ბელურების“ როლი ითამაშეს „ქართულ ეროვნულ ცენტრის“ წევრებმა და ბოლშევიკური ნამცეცები ჰკენკეს.

ბოლშევიკებმა პარიზში უშველებელი აფიშები გამოუშვეს, რომ რუსული წითელი არმიის ხორო, ამ უამად პარიზში კონცერტების გამამრთველი, ქართულ სახალხო სიმღერებსაც შეასრულებდა.

ბ. აკაკი ჩხენკელმა, საქართველოს სულწასულმა ელჩმა, რომელიც ყველგან დაბძანდებდა, რათა თავისი პერსონა ყველას წარუდგინოს, ეს ამბავი დაიჯერა და თავის ასისტენტით, ბ. სისიკო მდივნიო, რუსული წითელი არმიის კონცერტზედ წაბრძანდა. ქართული სიმღერები, რა თქმა უნდა, მათ ვერ მოისმინეს. სამაგიეროდ ხორომ „ინტერნაციონალი“ შეასრულა. „ქართული ეროვნული ცენტრის“ წევრები“ წამოდგენ და საქართველოს ჯალათების ჰიმნი ფეხზე ადგომით მოისმინეს!

ამავე დროს, იმავე დარბაზში, მაგრამ უფრო ზემო იარუსებში, ქართველ ასულებს და ახალგაზრდებს, პარიზის კომუნისტებმა ნამდვილი კრივი გაუმართეს, რადგან ნამდვილი ქართველობა ბოლშევიკურ ჰიმნს პროტესტით შეხვდა.

ასე იცავენ ბ.ბ. ჩხენკელ - მდივნები ქართულ ეროვნულ დროშას და საქართველოს დამოუკიდებლობას.